

სამედიცინო

კახეთი



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის გამომცემი

გამომცემი 1957 წლიდან

№1-2 (270) იანვარ-თებერვალი, 2014 წ. www.tsmu.edu

„თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში განხორციელებული პროგრესული გარდაქმნები რევოლუციურია სამედიცინო განათლებაში“

პროფესორი **ტრუდი რობერტი**,
ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის (AMEE) პრეზიდენტი,
ლიდის უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების ინსტიტუტის დირექტორი

● თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი WHO-ის და IMED-ის სერთიფიკაციის დირექტორია – კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაქმნელად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში

● სამედიცინო უნივერსიტეტი – ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის (AMEE) და MEDINE-ს საშუალო ჯგუფებში სამედიცინო განათლების სტანდარტების და ნორმატიული დოკუმენტების შემუშავების თანამონაწილე ევროკავშირის 39 უნივერსიტეტთან ერთად

● 2012-2013 წლები – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში აშშ-ის, ევროკავშირის ქვეყნების, დიდი ბრიტანეთის, თურქეთის და ისრაელის უნივერსიტეტების 200-ზე მეტი წამყვანი პროფესორის ლექცია

● 1800-ზე მეტი სტუდენტი მსოფლიოს 37 ქვეყნიდან; 2014 წლიდან ინგლისურენოვან პროგრამებზე სწავლის მსურველთათვის – ორბიტალიანი მისაღები გამოცდა

● 100-ზე მეტი პარტნიორი უნივერსიტეტი და კლინიკა მსოფლიოს 40-ზე მეტი ქვეყნიდან

● ყოველწლიურად 300-ზე მეტი სტუდენტისა და რეზიდენტის სტაჟირება უცხოეთის პარტნიორ უნივერსიტეტებსა და საუნივერსიტეტო კლინიკებში

● 2012 წლიდან – საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტზე პარიზის მენეჯმენტისა და ადსრულების აკადემია უნივერსიტეტთან ერთად შემუშავებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა

● 2013 წლიდან – მედიცინის ფაკულტეტზე ევროპის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლასთან ერთად შემუშავებული დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა

● თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი – TEMPUS-ის პროექტის – „დიპლომაგადაღი სამედიცინო განათლების მოდერნიზაცია ევროგაერთიანების აღმოსავლეთ სამეზობლო ქვეყნებში“ – ძირითადი მონაწილე

● 2013 წელი – TEMPUS-ის პროექტის ფარგლებში აკადემიური განვითარების ცენტრის შექმნა და აკადემიური პერსონალის გადამზადება სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში

● საუნივერსიტეტო კლინიკების ჩამოყალიბება და კლინიკური სწავლების ხარისხის განვითარება

● კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრის სრული მოდერნიზაცია და მის გაზაზღვრული რეკონსტრუქციის სტრუქტურული რეკონსტრუქციის (OSCE) განხორციელება.

ჩვენი საუნივერსიტეტო საზოგადოების თითოეულ წევრს – აკადემიურ პერსონალს, ადმინისტრაციას, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს – ჰქონდეთ, აქვთ და ექნებათ პროფესიული სრულყოფისა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის განვითარების საქმეში საკუთარი წვლილის შეტანის შესაძლებლობა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი – ქვეყნის სამედიცინო განათლების ფლაგმანი



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი
იის შესრულებისას თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს თავისი საქმიანობის განმსაზღვრელი ძირითადი პრინციპებით:

ცოდნისა და კვლევების აკადემიური ხარისხი, დემოკრატიულობა, მართვის ორგანოების არჩევითობა და გამჭვირვალობა, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა აკადემიური თავისუფლება.

დიპლომამდელი, დიპლომის შემდგომი და უწყვეტი პროფესიული განათლების, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების, უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების წარმატებული მიმდინარეობა სამედიცინო უნივერსიტეტს მიმზიდველს ხდის არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიოს თითქმის ოთხ ათეული ქვეყნის ახალგაზრდებისთვის.

სამედიცინო განათლების გამოცდილი, წარმატებული სტანდარტების და მიდგომების რეალიზება სამედიცინო უნივერსიტეტში არა მარტო ტრადიციული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას უზრუნველყოფს, არამედ, ჩვენს უცხოელ პარტნიორებთან ურთიერთობა, საკუთარი მრავალწლიანი აკადემიური გამოცდილება და სამედიცინო სერვისისადმი თანამედროვე გამოწვევების ღირსეულად დაძლევის ამოცანა თამამი, ინოვაციური ნაბიჯების გადადგმისკენ გვიბიძგებს.

ბოლო ორ წელიწადში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ორი ახალი საგანმანათლებლო პროგრამა ამოქმედდა:

დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა, რომელიც ემორის (ატლანტა, აშშ) უნივერსიტეტთან ერთად, თანამშრომლობით განხორციელდება; **საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მეწვემენტის საბაკალავრო პროგრამა**, სადაც ჩვენი პარტნიორები პარიზის მეწვემენტისა და ალსრულე-

ბის აკადემია „უნიმენი“ და გრენობლის (საფრანგეთი) უნივერსიტეტია. პროგრამის დასრულების შემდეგ ორი – ქართული და ფრანგული – დიპლომი გაცივდება. **სამედიცინო უნივერსიტეტი მონაწილეობს ერაზმუს-მუნდუსის ALRAKIS-ის გაცვლით პროგრამებში**, რაც უნივერსიტეტის სტუდენტების, აკადემიური თუ ადმინისტრაციული პერსონალის აქტიურ ჩართვაზეა ორიენტირებული.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სტუდენტურ ორიენტირებულ საგანმანათლებლო სისტემის განვითარებას. მასწავლებლებზე ორიენტირებული სისტემის საპირისპიროდ (რომელიც დროზე არაა დამოკიდებული და აპრიორი ემყარება დაშვებას, რომ პროფესორმა იცის, რა უნდა ასწავლოს სტუდენტს), სტუდენტურ ორიენტირებული მიდგომა გაცილებით მეტ ყურადღებას აქცევს კურიკულუმის დაგეგმვას, იგი სასწავლო პროგრამის სტრუქტურისთვის ვარგისიანობაზეა ფოკუსირებული – გამომდინარე საზოგადოებაში მისი მომავალი სოციალური და პროფესიული როლიდან.

ამიტომაც, საკუთრივ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და, რაც მთავარია, პროგრამების განხორციელების ხარისხის ინდიკატორების ერთ-ერთი მექანიზმი სტუდენტების და კურსდამთავრებ-

ულების შეფასების კვლევა და შედეგების კრიტიკული ანალიზია. საამისოდ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემუშავებულია მრავალგვარი სამიზნე კითხვარები და კრიტერიუმები, რომელთა გამოყენებასა და ინტერპრეტაციაში, ხარისხის სამსახურთან ერთად, აქტიურად მონაწილეობენ სტუდენტები. ეს ყოველივე განსაზღვრავს კურიკულუმის სწორად დაგეგმვას, მისი განხორციელების ეფექტურობის, შედეგების ობიექტური, გაზომვადი კრიტერიუმებით შესწავლის და შეფასების პროცესთა ჯაჭვის არსებობას.

ჩვენი საუნივერსიტეტო საზოგადოების თითოეულ წევრს – აკადემიურ პერსონალს, ადმინისტრაციას, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს – ჰქონდეთ, აქვთ და ექნებათ პროფესიული სრულყოფისა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის განვითარების საქმეში საკუთარი წვლილის შეტანის შესაძლებლობა.

თუ თქვენი არჩევანი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისაკენ, აკადემიური სივრცის წევრობა, გარწმუნებთ, რომ ამ გადაწყვეტილების წარმატებით რეალიზების საქმეში დღეს, ხვალ და მუდამ თავისი ცოდნით და ავტორიტეტით თქვენ გვერდითაა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, ადმინისტრაცია და სტუდენტობა.

თუ თქვენი არჩევანი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისაკენ, აკადემიური სივრცის წევრობა, გარწმუნებთ, რომ ამ გადაწყვეტილების წარმატებით რეალიზების საქმეში დღეს, ხვალ და მუდამ თავისი ცოდნით და ავტორიტეტით თქვენ გვერდითაა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, ადმინისტრაცია და სტუდენტობა.

ჩვენი ამოცანა, მოვამზადოთ კომპეტენტური და კვალიფიციური ექიმები, ამასთანავე, ჭიშმარიტების მაქიაჟალი მკვლევრები

მედიცინის ფაკულტეტი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტი გამორჩეული და აღიარებული სამედიცინო სკოლაა არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ კავკასიაში.

ჩვენ დიდად ვაფასებთ ახალგაზრდების გადამწყვეტილებას ამ ურთულესი, მაგრამ, ამასთანავე, მეტად პუმანური და საინტერესო პროფესიის არჩევანში გამო, ვითვალისწინებთ მათ გულწრფელ სურვილს, ახლო მომავალში, დაავადებათა პრევენციითა და მკურნალობით, გააუმჯობესონ ადამიანთა ცხოვრება. ამიტომ მოვუწოდებთ მათ, გამოიყენონ ყველა ის შესაძლებლობა, რასაც ამ მიზნის მისაღწევად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი სთავაზობს, ნუ დაზოგავენ დროსა და ენერჯის თავიანთი მიზნის მისაღწევად.

ჩვენთან ყველაფერი თავად სტუდენტზეა დამოკიდებული. ვისაც ნამდვილად სურს, რომ მომავალი დაუკავშიროს მედიცინას, დაგვერწმუნეთ, სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტი მათ მიერ გაკეთებული საუკეთესო არჩევანია!

ჩვენი ამოცანა, მოვამზადოთ კომპეტენტური და სრულფასოვანი ექიმები, ამასთანავე, ჭიშმარიტების მაქიაჟალი მკვლევრები. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა და პროფესორ-მასწავლებლები არ იშურებენ ძალისხმევას, რათა ხელი შეუწყონ სტუდენტთა შესაძლებლობების, პიროვნული თვისებების, მოტივაციის მაქსიმალურ გამოვლინებას როგორც დიპლომამდელი, ასევე დიპლომის შემდეგ-

რომ განათლებისა და მთელი პროფესიული კარიერის განმავლობაში.

მედიცინის ფაკულტეტი ამჟამად ოთხი ათასამდე სტუდენტს ითვლის, მათ შორის, 33% უცხოელია. აღსანიშნავია, რომ ჩვენს ფაკულტეტზე განათლების მიღების მსურველ უცხოელთა რიცხვი გაცილებით მეტია, რის გამოც, ჩარიცხვამდე მათ სერიოზული კონკურსის გაგლა უწევთ. ჩვენი მიზანია არა სტუდენტთა რაოდენობის ზრდა, არამედ მათი სწავლების ხარისხის სრულყოფა და საერთაშორისო სტანდარტებთან მაქსიმალური დაახლოება.

მედიცინის ფაკულტეტზე ხორციელდება 2 საგანმანათლებლო პროგრამა:

- 1. **დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა (სწავლების ენა: ქართული, რუსული, ინგლისური)**
 - 2. **დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა (სწავლების ენა – ინგლისური)**
- დიპლომამდელი სწავლება ერთსაფეხურიანია და მისი ხანგრძლივობა 6 წელია. ორივე პროგრამის მიზანია, აღზარდოს კონკურენტუნარიანი და სათანადო კომპეტენციის მქონე კვალიფიციური ექიმები, რომლებსაც აქვთ დაავადებათა პროფილაქტიკის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობისთვის საჭირო ცოდნა და კლინიკური პრობლემების გადასაჭრელად ამ ცოდნის გამოყენების უნარი. ისინი მზად არიან დიპლომის შემდგომი განათლებისა და სპეციალური მზადებისათვის როგორც საქართველოში, ასევე, მის საზღვრებს გარეთ. სამედიცინო კად-

რო მზადდება ქვეყნის/საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნილებათა შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ დიპლომირებული მედიკოსი შეიძლება დასაქმდეს უმცროს ექიმად, რომელიც მუშაობს ექიმი-სპეციალისტის მეთვალყურეობის ქვეშ, ან სწავლა გააგრძელოს რეზიდენტურაში ან დოქტორანტურაში.

რეზიდენტურის დასრულების შემდეგ ის ხდება ექიმი-სპეციალისტი: თერაპევტი, ქირურგი, ოფთალმოლოგი, რადიოლოგი, გინეკოლოგი, ნევროპათოლოგი, პედიატრი, ფსიქიატრი და სხვ.

დოქტორანტურის დასრულების შემდეგ მას ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი მედიცინაში.

დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა (US MD-Doctor of Medicine Degree Program) შემუშავდა და ხორციელდება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ემორის უნივერსიტეტის (აშშ, ატლანტა) სამედიცინო სკოლის (ESOM) ერთობლივი პროექტის საფუძველზე.

ტრადიციული პროგრამისგან განსხვავებით:

- 1. **კლინიკური სწავლების ეტაპზე დასაშვებად და ექიმის დიპლომის მისაღებად პროგრამის აუცილებელი მოთხოვნაა აშშ სამედიცინო სალიცენზიო გამოცდების (United State Medical Licensing Examination - USMLE) ჩაბარება.**
- 2. **პროგრამაში ფართოდ არის წარმოდგენილი სამედიცინო**

რო კვლევის მოდული, რომელიც სტუდენტმა შეიძლება გაიაროს ემორის უნივერსიტეტში.

ამდენად, ამერიკული პროგრამის დასრულების შემდგომ, დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხის მიღებისას, კურსდამთავრებულს უკვე ჩაბარებული აქვს ამერიკის სამედიცინო სალიცენზიო გამოცდები და, შესაბამისად, შეუძლია, დიპლომის შემდგომი განათლება და სპეციალური პროფესიული მზადება გაიაროს როგორც საქართველოში, ასევე, საზღვარგარეთ (აშშ და სხვ).

ფაკულტეტზე ბოლო წლებში, დიპლომამდელი განათლების ეტაპზე, მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა: დაიხსენა სწავლებისა და შეფასების მეთოდიკა. სწავლების მეთოდებიდან დიდად ყურადღება ექცევა შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება – სტრუქტურირებული შემთხვევის განხილვას, იშვიათი შემთხვევის განხილვას, პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას, შემთხვევის ანალიზს, პროექტზე დაფუძნებულ სწავლებას.

საბაზისო კურსის სწავლებისას მნიშვნელოვანი დრო ეთმობა პრობლემის კლინიკური ასპექტების განხილვას, ხოლო კლინიკური სწავლების ეტაპზე სტუდენტი კვლავ უზრუნველდება ახალ ასპექტში განხილვას ფუნდამენტურ საგნებში ნასწავლ საკითხებს.



სწავლების პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება პრაქტიკული უნარ-ჩვევების შექმნას, რამაც სტუდენტებს დიდად უწყობს ხელს თანამედროვე დონეზე აღჭურვილი კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრი. აქ ხორციელდება ექიმისთვის აუცილებელი ყველა კომპეტენციის ჩამოყალიბება სწავლების პირველი დღეებიდანვე.

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის აუცილებელი ნაწილია იქცა სამედიცინო უნარ-ჩვევების სწავლება. უნივერსიტეტში შექმნა სპეციალური განყოფილება, რომლის მოვალეობაც უნარ-ჩვევების სწავლება და მონიტორინგებაა. სწავლების II წლის პროგრამას დაემატა სავალდებულო საგანი - „სამედიცინო კვლევის საფუძვლები“. აღნიშნული საგნის სწავლებით გათვალისწინებულია სტუდენტებისთვის ისეთი კომპეტენციების მიცემა, როგორცაა: საკითხის სწორად დაყენება, სად-

მედიცინის ფაკულტეტი

მე-2 გვერდიდან

იებო სისტემების გამოყენება, მიღებული ინფორმაციის სწორად შეფასება, სტატისტიკური ანალიზი, მომავალი კვლევის სწორი დაგეგმვა. ყურადღება ექცევა დაინტერესებული და მოტივირებული სტუდენტების ჩართვას დეპარტამენტებში მიმდინარე სამედიცინო კვლევებში.

ფაკულტეტის სამედიცინო საქმიანობაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა უნივერსიტეტთან სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის შემოერთებამ. პროდუქტიული შედეგები აქტიურად ჩაერთვნენ სტუდენტთა სწავლების პროცესში, სტუდენტებს კი სამედიცინო პროექტების განხორციელებაში ჩართვის მეტი შესაძლებლობა მიეცათ. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი ორჯერ იქნა აღიარებული როგორც წლის საუკეთესო სამედიცინო-კვლევითი დაწესებულება მედიცინის დარგში.

ფაკულტეტზე დაინერგა სტუდენტის ცოდნის შეფასების თანამედროვე, ობიექტური მეთოდები. შეფასების პროცესი უფრო მრავალფეროვანი და გამჭვირვალე გახდა. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სრულად კომპიუტერიზებული საგამოცდო ცენტრი. დაიხვეწა და დიდი ყურადღება ეთმობა მომავალი ექიმის უნარ-ჩვევების შეფასებას. მთელ რიგ დისციპლინაში მომავალი ექიმების ცოდნა უკვე მათი კლინიკური უნარ-ჩვევების ფლობის მიხედვითაც ფასდება. 2008-2009 სასწავლო წელს ფაკულტეტზე პირველად ჩატარდა კლინიკური გამოცდა პროპედევტიკაში. მიმდინარე სასწავლო წლიდან მეანობა-გინეკოლოგიაში სტუდენტთა შეფასება ხორციელდება ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) საშუალებით. ამ ტიპის გამოცდა, სტუდენტის სხვა კლინიკური უნარების შეფასებასთან ერთად, მისი კომუნიკაბელურობის, გუნდში მუშაობის უნარის, მიღებული ცოდნის გადაცემის უნარის შეფასებასაც მოიცავს.

სამედიცინო განათლების თანამედროვე სტანდარტების დანერგვაში ფაკულტეტს დიდად შეუწყო ხელი უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებმა, საერთაშორისო პროექტებმა, რომლებსაც თსსუ ახორციელებს პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთად. ამდენად, ჩვენი მიზანია, მომავალი ექიმების სწავლება ეფუძნებოდეს მეცნიერებას, სწავლების სტრატეგიად კი არჩეულია სწავლება ინტეგრირებული პროგრამით.

მედიცინის ფაკულტეტზე სწავლის პერიოდში სტუდენტს საშუალება აქვს, გაიაროს სტაჟირება ჩვენი უნივერსიტეტისა და მსოფლიოს სხვადასხვა სამედიცინო სკოლის კლინიკებში.

უკანასკნელ წლებში ფაკულტეტის საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ ევროპის, ამერიკის და სხვა ქვეყნების სამედიცინო სკოლების პროფესორები. ისინი კითხულობენ ლექციებს სტუდენტებისა და რეზიდენტებისთვის, ატარებენ სამედიცინო კონსულტაციებს, ოპერაციებს, ჩვენს პროფესორებთან ერთად ახორციელებენ სამედიცინო პროექტებს.

ფაკულტეტს სამომავლოდაც დიდი მიზნები აქვს, რომელთა განხორციელება ჩვენი და ჩვენი სტუდენტების ღირსების საქმეა. ვიმედოვნებთ, რომ ერთიანი ძალისხმევით გავაუმჯობესებთ ჯანდაცვას 21-ე საუკუნეში.

ინფორმაციის სწავლება და პროგრამის სტრუქტურა გულისხმობს სწავლის პერიოდში აშშ-ის სამედიცინო სალიცენზიო გამოცდის (United State Medical Licensing Examination – USMLE) ჩაბარებას

დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და აკადემიის ეროვნული სამედიცინო სკოლის პარტნიორი პროექტი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა – უმაღლესი სამედიცინო განათლების ფლაგმანი საქართველოში – 2013-2014 სასწავლო წელს მედიცინის ფაკულტეტზე მნიშვნელოვან საგანმანათლებლო

პროგრამის კურიკულუმი სრულად ინტეგრირებულია. აღსანიშნავია, რომ სწავლების პირველივე წელს სტუდენტებს ეძლევათ პაციენტებთან ურთიერთობის საშუალება, რაც მეტად მნიშვნელოვანია პაციენტთან კომუ-

ციების ისტორია, ხელოვნების ისტორია, ფილოსოფია, ფსიქოლოგია, მსოფლიო ლიტერატურა, მედიცინის ისტორია, შეისწავლიან მეტად საინტერესო სასწავლო კურსს – „გახდე ექიმი“ (Becoming a Doctor), ამავდროულად, შეისწავლიან სამედიცინო კვლევის მეთოდოლოგიას და ორგანიზაციულ კვლევით აქტივობაში.

პროგრამაში ჩართულთა შორის უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე პროფესორები და ასრულებს შემდეგ კურსდამთავრებულ დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხი მიენიჭება. ამასთან, სამედიცინო კვლევაში აქტიურად ჩართულ სტუდენტს, დიპლომირებული მედიკოსის (MD) ხარისხთან ერთად, შესაძლებლობა აქვს ემორის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლაში დამატებით მოიპოვოს მაგისტრის ხარისხი სამედიცინო მეცნიერებაში (Master of Medical Science), ხოლო განსაკუთრებული წარმატების შემთხვევაში – დოქტორის ხარისხი (PhD).

პროგრამის დაგეგმვასა და მიმდინარეობაში აქტიურად არიან ჩართული ემორის უნივერსიტეტის პროფესორები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები: ემორის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის პროფესორი, საქართველოსა და თბილისის საპატიო მოქალაქე, კენეტ ვოლკერი, სამედი-



ემორის უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოსა და თბილისის საპატიო მოქალაქე, კენეტ ვოლკერი, სამედიცინო მიკრობიოლოგიისა და იმუნოლოგიის პროფესორი გორდონ ჩერჩვორდი, ონკოლოგიის პროფესორი მერი ჯო ლეკოვიჩი, ნეირომეცნიერებისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ექსპერტი, პროფესორი ჰოვარდ კუმენრი და სხვ. ისინი ხშირად სტუმრობენ თსსუ-ს, მუშაობენ უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებთან.

ინგლისურენოვანი სწავლება და პროგრამის სტრუქტურა გულისხმობს სწავლის პერიოდში აშშ-ის სამედიცინო სალიცენზიო გამოცდის (United State Medical Licensing Examination - USMLE) ჩაბარებას. უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს ყოველთვის ჰქონდა აშშ-ის და სხვა საერთაშორისო სალიცენზიო გამოცდების ჩაბარების შესაძლებლობა, თუმცა, საამისოდ ისინი დამატებით მომზადებას საჭიროებდნენ. ახალი პროგრამით კი სალიცენზიო გამოცდებისთვის მოხდა და მათი ჩაბარება საკუთრივ პროგრამითაა განსაზღვრული.



პროექტს ჩაუყარა საფუძველი. წარმატებით დაიწყო და ხორციელდება დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა, რომელიც შემუშავდა თსსუ-ისა და ემორის უნივერსიტეტის (აშშ, ატლანტა) სამედიცინო სკოლასთან (ESOM) ერთობლივად.

ნიკაციის უნარ-ჩვევების განვითარებისთვის; ამასთან, სტუდენტები სწავლის პირველივე ეტაპზე, სამედიცინო მეცნიერებებთან ერთად, შეისწავლიან ჰუმანიტარულ მეცნიერებებს – სოციალურ-კულტურული და სამედიცინო ანთროპოლოგია, ცივილიზა-

თად, შესაძლებლობა აქვს ემორის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლაში დამატებით მოიპოვოს მაგისტრის ხარისხი სამედიცინო მეცნიერებაში (Master of Medical Science), ხოლო განსაკუთრებული წარმატების შემთხვევაში – დოქტორის ხარისხი (PhD).

„თეთრი ხალათების“ ცერემონიალი

2013 წლის 16 სექტემბრიდან, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, დაიწყო ახალი – „დიპლომირებული მედი-

ლი მედიკოსის აკადემიური ხარისხი“. მიმდინარე სასწავლო წელს პროგრამაზე სწავლა დაიწყო 27-მა სტუ-

ათა დარბაზში ჩატარდა „თეთრი ხალათების“ ცერემონიალი. ცერემონიალი ამერიკის შეერთებული შტატების სამედიცინო უნივე-

პროფესორი, საქართველოსა და თბილისის საპატიო მოქალაქე, პროფესორი კენეტ ვოლკერი, თსსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი თინათინ ჩიქოვანი, თსსუ-ის უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი გიორგი გიორგობანი, ემორის უნივერსიტეტის კვლევითი პროგრამების დირექტორი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროფესორი არჩილ უნდილაშვილი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებათა დეპარტამენტის სრული პროფესორი, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი შოთა ჯაფარიძე.

ცერემონიალის მსვლელობისას, ტელეხიდის მეშვეობით, ამერიკის შეერთებული შტატებიდან „დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის“ სტუდენტებს მიესალმნენ: ემორის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის სასწავლო პროგრამების კოორდინატორი, პროფესორი გორდონ ჩერჩვორდი და პროფესორი მერი ჯო ლეკოვიჩი.

ცერემონიალის კულმინაციურ ნაწილში „დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის“ თითოეულ მონაწილეს საზეიმო ვითარებაში თეთრი ხალათები ჩააცვეს და ფონენდისკოპები გადასცეს ცერემონიალის საპატიო სტუმრებმა.



კოსის ამერიკული პროგრამა“, რომელიც შემუშავდა და განხორციელდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ემორის უნივერსიტეტის (აშშ, ატლანტა) სამედიცინო სკოლის (ESOM) ერთობლივი პროექტის საფუძველზე. ინგლისურენოვანი სწავლება და პროგრამის სტრუქტურა გაუადვილებს სტუდენტებს, სწავლის პროცესშივე ჩააბარონ აშშ სამედიცინო ლიცენზირების გამოცდის (United State Medical Licensing Examination – USMLE) ორივე საფეხური. სწავლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს მიენიჭება „დიპლომირებული

მედიკოსის აკადემიური ხარისხი“. ცერემონიალი ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში, ბატონი რიჩარდ ნორლანდი, ემორის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის

რსიტეტების ტრადიციული რიტუალია, რომლის დროსაც სტუდენტი საზეიმო ვითარებაში იმოსება თეთრი ხალათით, რომელიც არის სიმბოლო მომავალი ექიმობის.

„თეთრი ხალათების ცერემონიალი“ გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მიესალმა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია. ცერემონიალს ესწრებოდნენ: ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში, ბატონი რიჩარდ ნორლანდი, ემორის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის

ფაკულტეტზე ყველა პირობაა შექმნილი სტუდენტთა საბაზისო მომზადებისა და პრაქტიკული დახელოვნებისთვის თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილ კლინიკურ ბაზებზე.

სტომატოლოგიის ფაკულტეტი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სტომატოლოგიის ფაკულტეტი ერთ-ერთი პოპულარული და წარმატებული სასწავლო ერთეულია.

ჩვენი მიზანია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულ იყოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, აღჭურვილი ღრმა თეორიული ცოდნით და პრაქტიკული უნარებით, რაც საექიმო საქმიანობაში მისი წარმატების საინდარსო იქნება.

სტომატოლოგიის ფაკულტეტზე აკადემიური პროცესი მიმდინარეობს ქვეყნის ძირითადი საგანმანათლებლო მარეგულირებელი დოკუმენტებისა და ევროპის ერთიან საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის პრინციპების შესაბამისად.

პროგრამის მოცულობა არის – 300 ECTS კრედიტი; ხანგრძლივობა – 5 წელი.

2012 წლიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სტომატოლოგიის ფაკულტეტზე უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის მოქმედებს დიპლომირებული სტომატოლოგის რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა.

სტუდენტების სწავლა-განათლებაზე ზრუნავს სტომატოლოგიის ფაკულტეტის 31 პროფესორ-მასწავლებელი და 20 მონვეული პედაგოგი.

მომავალი თაობების აღზრდას ჩვენს ფაკულტეტზე ემსახურება

შვიდი სასწავლო დეპარტამენტი: ბავშვთა და მოზარდთა სტომატოლოგიისა და სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტი-

ოგიისა და ყბა-სახის ორთოპედის დეპარტამენტი; ქირურგიული სტომატოლოგიის და ყბა-სახის ქირურგიის დეპარტამენტი;

კული დახელოვნებისთვის თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილ კლინიკურ ბაზებზე.

სტომატოლოგიის ფაკულტეტზე სტუდენტების სწავლება მიმდინარეობს მაღალი დონის სპეციალისტებით დაკომპლექტებულ საუნივერსიტეტო კლინიკურ ბაზებზე:

გ. ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა;

ა. ურუშაძის სახელობის საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკა;

თსსუ N1 სტომატოლოგიური კლინიკა;

თსსუ N2 სტომატოლოგიური კლინიკა;

ა. ურუშაძის სახელობის საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკაში არსებობს კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრი, სადაც

ენტის დემონსტრირებით და დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პროცესში სტუდენტის მაქსიმალურად ჩართვის ფორმით. კლინიკა უნივერსიტეტის მთავარი სარეზიდენტო ბაზაა. 2013 წლის განმავლობაში კლინიკის ბაზაზე მომზადდა 26 რეზიდენტი და გადამზადების პროგრამა გაიარა 49 ექიმმა სტომატოლოგმა. კლინიკაში მუშაობს 66 ექიმი სპეციალისტი, მათ შორის, თსსუ-ის 21 აკადემიური პერსონალი.

2010 წლიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში პირველად სტომატოლოგიის ფაკულტეტზე დაინერგა ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა – OSCE.

სტომატოლოგიის ფაკულტეტმა აღზარდა მრავალი ლირსეული თაობა. ფაკულტეტზე ამჟამად მაღალკვალიფიციურ განათლებას იღებს 756 სტუდენტი. ყოველწლიურად გვყავს რეზიდენტთა ახალი ნაკადი და დოქტორანტიები.

თსსუ-ში სისტემატურად ჩამოდიან პროფესორები სხვადასხვა ქვეყნიდან (გერმანია, დიდი ბრიტანეთი, ბრაზილია, ჩეხეთი, უკრაინა, ლიტვა და ა.შ.), რომლებიც სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის კითხულობენ ლექციებს და ატარებენ ოპერაციებს.

ფაკულტეტი დიდად აფასებს და ითვისსწინებს მომავალ ექიმთა გულწრფელ სურვილს, კარგად დაეუფლონ თანამედროვე სტომატოლოგიის მიღწევებს და ხარისხიანი მკურნალობით დაუბრუნონ ადამიანებს ჯანსაღი ღიმილი.

ფაკულტეტის მიზანია თითოეული სტუდენტის ინტერესის გაცნობა და მაქსიმალური თანადგომა, მათი ყველა საქმიანი წინადადებისა და რჩევის გათვალისწინებით.



კის დეპარტამენტი; ოდონტოლოგიის დეპარტამენტი;

პაროდონტოლოგიისა და ლორწოვანი გარსის დაავადებათა დეპარტამენტი;

ორთოდონტიის დეპარტამენტი; ორთოპედიული სტომატოლო-

გიის დეპარტამენტი; ოდონტოლოგიის დეპარტამენტი; პაროდონტოლოგიისა და ლორწოვანი გარსის დაავადებათა დეპარტამენტი; ორთოდონტიის დეპარტამენტი; ორთოპედიული სტომატოლო-

გიის დეპარტამენტი; ოდონტოლოგიის დეპარტამენტი; პაროდონტოლოგიისა და ლორწოვანი გარსის დაავადებათა დეპარტამენტი; ორთოდონტიის დეპარტამენტი; ორთოპედიული სტომატოლო-

ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE) სტომატოლოგიაში

დღეს მედიცინაში სტუდენტთა ცოდნის შესასწავლად მრავალი მეთოდი და ხერხია მოწოდებული. განათლების მსოფლიო ექსპერტთა მიერ შემუშავებული სხვადასხვა მეთოდიკა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს რეალიზებული და ჭეშმარი-

სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებმა (ისევე, როგორც მედიცინის) სპეციალისტად ჩამოყალიბებამდე სწავლისა და კომპეტენციების შეძენის თანმიმდევრული ეტაპები უნდა გაიარონ: იცოდნენ ის, რაც უნდა აკეთონ, იცოდნენ თუ


ნტექსტზე დაფუძნებული ტესტებითაა შესაძლებელი, მესამე და მეოთხე ეტაპებისთვის მხოლოდ ეს საკმარისი აღარაა. სტუდენტი, რომელმაც პროფესორს უკვე უნდა აჩვენოს თუ როგორ ასრულებს ამა თუ იმ სამედიცინო მანიპულაციას,

ოფამ, ნოვაციური მეთოდოლოგიების დანერგვამ, უნივერსიტეტის პროფესორთა აკადემიური განვითარების ცენტრის მიერ განხორციელებულმა პროექტებმა, რომლებიც ევროპულ სამედიცინო განათლებასთან დაახლოებას ისახავს მიზნად, ძირეულად შეცვალა სტუდენტთა ცოდნის შეფასების კონცეფცია. ზემოთქმული განსაკუთრებული ეფექტურობით განხორციელდა სტომატოლოგიის ფაკულტეტზე.

ოდონტოლოგიის დეპარტამენტში, რომელიც ოპერაციული ოდონტოლოგიისა და ენდოდონტიის მიმართულებას აერთიანებს, 2010 წლიდან სტუდენტთა ცოდნის შეფასება ობიექტურად სტრუქტურირებულ კლინიკურ გამოცდაზე ხდება. დეპარტამენტი სტომატოლოგიის ფაკულტეტის ერთ-ერთი წამყვანი სტრუქტურული ერთეულია. აქ სტომატოლოგიის უმთავრესი პრობლემები, კბილთა მავარი ქსო-

ვილების კარიესი, არაკარიესული დაავადებები და მათი მართვა, კბილის პულპისა და პაროდონტის ენდოდონტიური დაავადებების მკურნალობა და სტომატოლოგიური მასალათმცოდნეობა ისწავლება. დეპარტამენტში სწავლება 5 სემესტრის განმავლობაში მიმდინარეობს (III, IV, VI, VII, X) და აქ სტუდენტს პირველად უზრუნველყოფს სტომატოლოგიურ პაციენტთან ურთიერთობა. სწორედ ამიტომ, ოდონტოლოგიის დეპარტამენტში სტუდენტთა ცოდნის შეფასების ეს ხერხი, ყველაზე უფრო მისაღები, ეფექტური და ინფორმაციულია.

OSCE ოდონტოლოგიის დეპარტამენტში III, IV, VI და VII სემესტრების დასრულების შემდეგ ტარდება. III და IV სემესტრებში სტუდენტი წინაკლინიკურ (საფანტომო) ოპერაციულ ოდონტოლოგიასა და ენდოდონტიას სწავლობს, სადაც ძირითადი დრო ამ საგნების თეორიულ შესწავლას და პრაქტიკული უნარების ათვისებას აქვს დათმობილი. შესაბამისად, სემესტრის ბოლოს საგამოცდო სადგურები გაც-



იტად შედეგის მომტანი, თუ იგი უმაღლეს სასწავლებლებში აქტიურად ინერგება. ამ საქმეს უნივერსიტეტის ხელმძღვანელი რგოლების სურვილი და მხარდაჭერა, მასწავლებლების დიდი ძალისხმევა და მათი თვითგანათლება, ადეკვატური სასწავლო გარემო და მოტივირებული სტუდენტები სჭირდება.

როგორ უნდა აკეთონ, უჩვენონ – როგორ უნდა აკეთონ და აკეთონ თავად. თითოეულ ამ ეტაპზე სტუდენტის ცოდნა სხვადასხვა ფორმითა და მეთოდით უნდა შეფასდეს. თუ ცოდნის შეძენის პირველ და მეორე საფეხურებზე (იცის, იცის როგორ) სტუდენტის შეფასება ფაქტების ამსახველი და კლინიკურ კო-

განსხვავებული ხერხით უნდა შეფასდეს. ერთ-ერთი ასეთი მეთოდი ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდაა (OSCE – Objective Structured Clinical Examination).

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლისა და სწავლების პროცესის სრულყოფი-

ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE) სტომატოლოგიაში

მე-4 გვერდიდან

იღებთ ნაკლებია, ვიდრე VI და VII სემესტრებში, სადაც, თეორიულ ცოდნასთან ერთად, სტუდენტთა კლინიკური აზროვნება, პაციენტთან კომუნიკაციის და კლინიკური

ტომ-მულაჟებსა და საფანტომო ბორმანქანებზე კონკრეტულ დავალებას და პროცედურას ასრულებს. მე-5 სადგური ტესტირებისთვისაა განკუთვნილი, მე-6-ზე კი მას ილუსტრირებული „ამოცანების“ ამოხსნა უწევს.

III და IV სემესტრების ბოლოს, ამ ტიპის გამოცდების ჩაბარების შემდეგ, სტუდენტისთვის გასაგებია ხდება, რომ ყველა კანდიდატს ერთნაირი მანიპულაციების ჩატარება, ტესტისა და სიტუაციური ამოცანის ამოხსნა უწევს. ნიშნების სისტემა ყველა ბლოკში სტრუქტურირებულია.

VI და VII სემესტრების ბოლოს OSCE მე-11 სადგურზე ტარდება. მათგან 1, 3, 5, 9 სადგურზე სტუდენტის პრაქტიკული უნარები ფასდება (მაგ., სტომატოლოგის სამუშაო ადგილის მოწყობა და მომზადება კონკრეტული დავალების შესასრულებლად, პირის ღრუს საიზოლაციო სისტემის შერჩევა და მისი მორგება მანეკენზე, ფანტომ-მულაჟზე კონკრეტული დაზიანების მქონე კბილის დაზიანება, მანეკენზე ინფლტრაციული ანესთეზიის ჩატარება).

მე-2 და მე-11 სადგურზე სტუდენტი თავის კომუნიკაციურ უნარებს ავლენს (მოდერნულ პაციენტთან საუბარი კონკრეტული დავალების ირგვლივ, მისი მოტივირება მკურნალობისთვის და მკურნალობის გეგმის გაცნობა, მოდელირებული პაციენტის პირის ღრუს დათვალიერება, სტომატოლოგთან ვიზიტების დაგეგმვა).

მე-2 და მე-8 სადგურები დასვენებისაა.

მე-6 სადგურზე სტუდენტი, წინასწარ მოცემული დიაგნოზის შესაბამისად, ავსებს პაციენტის ამბულატორიულ ბარათს მკურნალობის გეგმის მიზნით. მე-7 სადგური ტესტირებისთვისაა განკუთვნილი, მე-10 სადგურზე კი მას ილუსტრირებულ ატლასში კონკრეტული დავალების შესრულება უწევს.

საგამოცდო სადგურზე სტუდენტს 6 წუთი აქვს მოცემული, სადგურების შეცვლისა და კონკრეტული სადგურის პირობის გასაცნობად კი 1 წუთი.

თითოეულ სადგურს კონკრეტული ქულა აქვს მინიჭებული, თითოეულ მათგანს თავისი შემფასებელი ჰყავს, რომელიც შეფასების ფურცელში ყველა შესრულებული პროცედურის ქულობრივ შედეგს ინიშნავს.

მიღებული ციფრობრივი მონაცემების შეჯამება უჩვენებს არა მხოლოდ ცალკეული სტუდენტის აკადემიურ მიღწევას, არამედ თითოეული სადგურის ინფორმაციულობას და მის შესაბამისობას სასწავლო კურსის შედეგებთან.

სასიხარულოა, რომ ცოდნის შეფასების ეს მეთოდი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში განხორციელდა. იგი არაა თუ მოსტაბა-ქოთა სივრცის, არამედ ევროპის ბევრი ქვეყნის უმაღლესი სამედიცინო-საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც კი არ არის დანერგილი. ნორვეგიისა (ოსლო) და დიდი ბრიტანეთის (ლიდსი) უნივერსიტეტებში მიღებული გამოცდილებამ სტიმული მოგვცა და გავავადილა გამოცდების ახლებურ სტილზე გადასვლა.



უნარები ფასდება. OSCE ჩატარებისას, უპირველეს ყოვლისა, ვაგვარებთ ლოჯისტიკის საკითხებს. წინასწარ კლინიკური (საფანტომო) კურსის გამოცდები 6 საგამოცდო სადგურზე ეწყობა. მათგან 4 სადგურზე სტუდენტი ფან-

ფაკულტეტის უმთავრესი მიზანია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის მქონე, მაღალკვალიფიციური, კონსერვატიური სპეციალისტის აღზრდა

ფარმაციის ფაკულტეტი

ფარმაციის დიდმნიშვნელოვანი როლი აკისრია ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში. მისი ძირითადი პროდუქტი წამალია, რომლის შემუშავებას, შესწავლას, წარმოებას, სტანდარტიზაციას, ხარისხის კონტროლს, რეალიზაციას და მომხმარებლისთვის მიწოდებას ძირითადად ახორციელებს ამ დარგის სპეციალისტი – ფარმაცევტი.

ფარმაცევტული საქმიანობა პაციენტზეა ორიენტირებული. მისი მთავარი მიზანია მოსახლეობის უზრუნველყოფა ეფექტური, უსაფრთხო, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამკურნალო საშუალებებით.

ფაკულტეტის უმთავრესი მიზანია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის მქონე, მაღალკვალიფიციური, კონსერვატიური სპეციალისტის აღზრდა, რომელიც იქნება მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის, ჰუმანიზმის, დემოკრატიის, ლიბერალური ღირებულების პრინციპების მატარებელი თავისუფალი პიროვნება.

ფაკულტეტის ძირითადი ამოცანებია:

პრაქტიკული ხასიათის საქმიანობაზე ორიენტირებული უმაღლესი აკადემიური და პროფესიული განათლების მქონე პირების – ბაკალავრების მომზადება; სამეცნიერო კვლევაზე და პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული უმაღლესი აკადემიური განათლების მქონე პირების – მაგისტრებისა და დოქტორების მომზადება.

ფაკულტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

პროფესიული უმაღლესი განათლების, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო აკადემიური პროგრამების განხორციელება; სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესრულება; სხვა სახის საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვა.

ფარმაციის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამები:

- **ბაკალავრიატი**
სწავლების ვადა – 4 წელი, 240 ECTS კრედიტი
 - **მაგისტრატურა**
სწავლების ვადა – 2 წელი, 120 ECTS კრედიტი
 - **დოქტორანტურა**
სწავლების ვადა – 3 წელი, 180 ECTS კრედიტი
- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში დაცულია ბალანსი საბაზისო, სოციალურ, ფარმაცევტულ და სამედიცინო დისციპლინებს შორის, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პრაქტიკული უნარ-ჩვევების ათვისებას, ანუ სათანადო ფარმაცევტულ პრაქტიკას. სასწავლო

გეგმაში ასახულია ე.წ. თავისუფალი დრო დამოუკიდებელი მუშაობისთვის.

საგანმანათლებლო პროგრამებში მნიშვნელოვანი ნილი უჭირავს პრაქტიკულ კურსებს (ლაბორატორიული მეცადინეობები, სავსე, საწარმოო, სასწავლო პრაქტიკები და ა.შ.).

ფარმაციის ფაკულტეტის ბაკალავრიატის კურიკულუმი შედგენილია მონივრულ ქვეყნების გამოცდილებათა

პრაქტიკას ფარმაცევტული კომპანიების საწარმოებში, ავთიაქებში, წამლის ხარისხის უზრუნველყოფის, კონტროლის და სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს ლაბორატორიებში. ფაკულტეტზე მოქმედებს სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ლაბორატორია.

ფარმაციის ფაკულტეტი აქტიურად თანამშრომლობს უცხოეთის უნივერსიტეტებთან:

- ლიუვის უნივერსიტეტი, ბელგია;
- კვებეკის შიკუტიმის უნივერსიტეტი, კანადა;
- მარსელის ხმელთაშუა ზღვის უნივერსიტეტი;
- ლუბლიანის უნივერსიტეტი, სლოვენია;
- ბოლუს უნივერსიტეტი, თურქეთი;
- ხარკოვის ფარმაცევტული უნივერსიტეტი, უკრაინა.

ფაკულტეტზე მოქმედებს ოთხი სამაგისტრო პროგრამა: სამრეწველო ფარმაცია

სამაგისტრო პროგრამის მიზანს შეადგენს სათანადო საწარმოო პრაქტიკის წესების დაცვით ბუნებრივი და სინთეზური ნედლეულიდან სამკურნალო საშუალებების ტექნოლოგიის შესწავლა და სამრეწველო ფარმაციისთვის კვალიფიციური კადრების მომზადება. სამრეწველო ფარმაციის მაგისტრი შეძლებს, დამოუკიდებლად აწარმოოს სამკურნალო საშუალებები და მართოს ტექნოლოგიური პროცესები სათანადო საწარმოო პრაქტიკის წესების დაცვით.

ფარმაცევტული კოსმეტიკოლოგია და პარფიუმერია

სამაგისტრო პროგრამის მიზანს შეადგენს თავის, სახის, სხეულის მოვლის, დეფექტების მაკორექციური, პროფილაქტიკური, გამაჯანსაღებელი, სამკურნალო საშუალებების და პარფიუმერული პროდუქციის რეცეპტურის, ტექნოლოგიის გამოყენების მეთოდების ათვისება. ფარმაცევტული კოსმეტიკოლოგიისა და პარფიუმერიის მაგისტრი შეძლებს დამოუკიდებლად აწარმოოს პარფიუმერულ-კოსმეტიკური პროდუქცია, მართოს ტექნოლოგიური პროცესები სათანადო საწარმოო პრაქტიკის წესების დაცვით, გაუწიოს მომხმარებელს პროფესიული დახმარება, კანის ფიზიოლოგიის გათვალისწინებით, პარფიუმერულ-კოსმეტიკური ნაწარმის შერჩევასა და გამოყენებაში.

ფარმაცევტული ანალიზი

სამაგისტრო პროგრამის მიზანს წარმოადგენს სათანადო კვალიფიკაციის ფარმაცევტული და ტოქსიკოლოგიური ანალიზის სპეციალისტების მომზადება, რომელთაც ექნებათ პროფესიული ცოდნა ფარმაცევტულ ანალიზში. შეძლებენ ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზის განხორციელებას, წამლის სტანდარტიზაციის და ხარისხის კონტროლის ორგანიზაციის ფარმაცევტულ საწარმოებსა და სახელმწიფოში.

ფარმაციის მენეჯმენტი

სამაგისტრო პროგრამის მიზანს წარმოადგენს სათანადო კვალიფიკაციის ფარმაცევტული კადრების მომზადება, რომლებიც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) და ინტერნაციონალური ფარმაცევტული ფედერაციის (FIP) რეკომენდაციების შესაბამისად, შეძლებენ განხორციელონ ეროვნული პოლიტიკა ფარმაცევტულ საქმიანობაში.



გათვალისწინებით:

სწავლების პირველი საფეხურის დასრულების შემდეგ სტუდენტი აბარებს ინტეგრირებულ გამოცდას პროფილურ დისციპლინებში და იღებს ფარმაციის ბაკალავრის აკადემიურ ხარისხს. მას შეუძლია იმუშაოს პრაქტიკულ ფარმაციაში ან სწავლა გააგრძელოს მაგისტრატურაში.

ურთიერთთანამშრომლობის მეორე დონის ფარგლებში ფარმაციის ფაკულტეტის ყველა საფეხურის სტუდენტი გადის სასწავლო და საწარმოო

ფაკულტატი, საქართველოს ჯანდაცვისა და განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების გათვალისწინებით, ახორციელებს სპეციალისტთა მომზადების ოპტიმიზაციას, მათი სარისხობრივი და რაოდენობრივი შეზღვევების რეგულირებას. ამ მიზნით ხდება საგანმანათლებლო გეგმა-პროგრამების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა და პრიორიტეტული მოთხოვნებით განვირგობილი ახალი ტიპის კადრის მომზადება.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტატი



ადოების ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნების შესაბამისად, მომზადდეს სათანადო კომპეტენციის მქონე სპეციალისტი, რომელსაც ექნება საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და პროფილაქტიკური მედიცინის სფეროში მუშაობის, შემდგომი პროფესიული ზრდისა და აკადემიური განათლების გაგრძელების შესაძლებლობა. საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულება უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა ცოდნის ვალიდურობას, კომპეტენციის ფარგლებში მათ კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე და მზაობას დიპლომის შემდგომი განათლების გაგრძელებისთვის. პროგრამის მოცულობა 240 კრედიტია.

„საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მენეჯმენტი“ საბაკალავრო პროგრამა ერთობლივად ხორციელდება პარიზის მენეჯმენტისა და ალსრულების აკადემიასთან – უნივერსიტეტის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით. პროგრამა, დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის, მოსახლეობისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, სამედიცინო მომსახურების მონიტორინგისა და ეკონომიკური ეფექტურობის შეფასების საკითხებთან ერთად, აქცენტირებულია შემდეგ საკითხებზე: **ჯანდაცვის მენეჯმენტი, სამედიცინო მომსახურების მონიტორინგი და ეკონომიკური ეფექტურობის შეფასება;**

ადმინისტრაციული, მენეჯერული, კომერციული საქმიანობის ორგანიზება და შეფასება;

მოსახლეობის სამედიცინო დახმარების ორგანიზება და მართვა;

ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში სამედიცინო დაწესებულების მუშაობის დაგეგმვა და მონიტორინგი;

მართვის თანამედროვე პრინციპები ჰოსპიტალურ სექტორში.

ჯანდაცვის მართვის საკითხებთან დაკავშირებული დისციპლინებისა და ფრანგული ენის სასწავლო კურსის სწავლების განხორციელებაში მონაწილეობენ საფრანგეთის მენეჯმენტისა და ალსრულების აკადემიის უნივერსიტეტის პროფესორები. სწავლების ენა ქართულია. ამასთან, პროგრამის ფარგლებში ფრანგული ენის ინტენსიური სწავლება სპეციალური სასწავლო კურსების ფრანგულ ენაზე გავლის აუცილებლობითაა განპირობებული. პროგრამის დასრულების შემდეგ გაიცემა ორი დიპლომი, აღიარებული როგორც საქართველოს, ასევე, საფრანგეთის მიერ. კურსდამთავრებულს ექნება ცოდნის რეალიზების შესაძლებლობა საქართველოსა და საფრანგეთში. აღნიშნული კურსდამთავრებულს გზას უხსნის ევროპული განათლების კენ, მიღებული ცოდნის გამოყენებისა და დასაქმებისთვის უცხოეთშიც. პროგრამის მოცულობაა 280 კრედიტია.

საბაკალავრო პროგრამების დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება საზოგადოებრივი ჯანდაცვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

საბაკალავრო პროგრამების დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია აკადემიური განათლება განაგრძოს უნივერსიტეტში მოქმედ პროფილურ სამაგისტრო პროგრამებზე:

საზოგადოებრივი ჯანდაცვა – პროგრამის ფარგლებში მაგისტრანტს შესაძლებლობა ეძლევა სწავლების ერთი სემესტრი გაიაროს ოლბანის უნივერსიტეტში (აშშ);

ეპიდემიოლოგია და გარემოს მედიცინა;

ჯანმრთელობის ხელშეწყობა, ჯანმრთელობითი განათლება;

ჯანდაცვის ადმინისტრირება და მენეჯმენტი.

იგეგმება ახალი სამაგისტრო პროგრამების ამოქმედება სამედიცინო ეკოლოგიაში, ნუტრიციოლოგიაში და პოსტიტალურ მენეჯმენტში (ერთობლივი ქართულ-ფრანგული).

სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება მაგისტრის აკადემიური ხარისხი შესაბამის მიმართულებაში.

მაგისტრს უფლება აქვს სწავლა განაგრძოს დოქტორანტურაში; მისი წარმატებით დასრულების და დოქტორის აკადემიური ხარისხის მოპოვების შემდეგ, პროფილური პრაქტიკული საქმიანობის გარდა, შესაძლებელია ჩართვა აკადემიურ და კვლევით აქტივობაში.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტზე აქტიურად მიმდინარეობს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ჯანდაცვის მენეჯმენტის, პოლიტიკისა და ეკონომიკის, კვებისა და ასაკობრივი მედიცინის, ჰიგიენისა და სამედიცინო ეკოლოგიის, გარემოს მედიცინის, პროფესიული მედიცინის, ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და ეპიდემიოლოგიის მიმართულებებით. მრავალწლიანი სამეცნიერო საქმიანობის შედეგები უკანასკნელ პერიოდში აისახა ფაკულტეტის მიერ ორგანიზებულ **საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, რომლებიც მიმდინარეობდა დევიზით „ჯანმრთელობა და ეკოლოგია“** (სიღნაღი, ბათუმი, წყალტუბო, ახალციხე-რაბათი).

ფაკულტეტის სტუდენტობა აქტიურად მონაწილეობს სამეცნიერო ცხოვრებაში. მათ მიერ არის ორგანიზებული უკვე ტრადიციულად ქულის სტუდენტური კონფერენცია, რომელიც 2010 წლიდან ყოველწლიურად ტარდება ბაკურიაში. განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევა სტუდენტების მიერ ჩამოყალიბებული „ჯანდაცვის განვითარების ახალგაზრდული ორგანიზაცია“, რომლის ეგიდითაც უნივერსიტეტში ფართოდ აღინიშნება: „ევროპის ეპიდემიის დღე“, „დაბავების მსოფლიო დღე“, „სტუდენტების მსოფლიო დღე“, „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მსოფლიო დღე“, „შიდსის მსოფლიო დღე“ და სხვა.

ფაკულტეტს აქვს საერთაშორისო კონტაქტები საფრანგეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, ბულგარეთის, თურქეთის, რუმინეთის, პოლონეთის, ისრაელის, უნგრეთის, ამერიკის, ბალტიისპირეთის ქვეყნების უნივერსიტეტებთან და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლებთან. ხორციელდება სტუდენტებისა და პედაგოგების სტაჟირება ევროპის, ამერიკისა და კანადის უნივერსიტეტებში.

კურსდამთავრებულთა მაღალ კონკურენტუნარიანობაზე მეტყველებს დასაქმების 80%-იანი მაჩვენებელი არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც

ფიზიკური მდიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტატი

თანამედროვე მედიცინის წარმატება შეუძლებელია სრულყოფილი სამედიცინო რეაბილიტაციის სამსახურის გარეშე, ვინაიდან კვალიფიციური სამედიცინო სერვისის მიწოდება ითვალისწინებს არა მხოლოდ დაავადების მკურნალობას, არამედ პაციენტის ფუნქციური მდგომარეობის ოპტიმალურ ფარგლებში აღდგენას და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას, რაც ფიზიკური რეაბილიტაციის მთავარი ამოცანაა.

რეაბილიტაცია არის უწყვეტი და კოორდინირებული პროცესი, რომელიც იწყება დაავადების ან დაზიანების დასაწყისისთანავე და გრძელდება



პაციენტის საზოგადოებრივ სრულ რეინტეგრაციაში.

საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, დღითიდღე იზრდება ინტერესი თანამედროვე სამედიცინო სარეაბილიტაციო მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენების მიმართ, შესაბამისად, გაზრდილია მოთხოვნა თანამედროვე ცოდნითა და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით აღჭურვილ სპეციალისტებზე ფიზიკურ მედიცინასა და რეაბილიტაციაში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის მთავარი ამოცანაა, მოამზადოს კომპეტენტური სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს ქრონიკული დაავადებების, ტრავმის ან სხვა კლინიკური პრობლემის შედეგად განვითარებული უნარშეზღუდული ადამიანების სამედიცინო დახმარებას.

ფაკულტეტზე მოქმედებს ევროპული სტანდარტების თანამედროვე საბაკალავრო პროგრამა, რომლის ხანგრძლივობა ოთხი წელია. სტუდენტები მომავალ პროფესიას ეუფლებიან უნივერსიტეტის სხვადასხვა თეორიულ თუ კლინიკურ დეპარტამენტში, საუნივერსიტეტო და უნივერსიტეტთან აფილირებულ კლინიკებსა და სასპორტო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში. ისინი სწავლობენ რეაბილიტაციის პრინციპებს და პროგრამებს, რეაბილიტაციის სისტემის ორგანიზაციას და პრაქტიკას, თანამედროვე სარეაბილიტაციო მეთოდებს და ტექნოლოგიებს, მათ გამოყენებას საყრდენ-მამოძრავებელი, გულ-სისხლძარღვთა, ნერვული, რესპირატორული და სხვა სისტემების დაზიანებებში და დაავადებების დროს.

პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულს ენიჭება ბაკალავრის ხარისხი ფიზიკურ მედიცინასა და რეაბილიტაციაში და ეძლევა დამოუკიდებელი პროფესიული საქმიანობის საშუალება. ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ბაკალავრის მოქმედების არეალი ფართოა და ვრცელდება სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაზე და მიმართულებაზე. ეს შეიძლება იყოს ინტენსიური თერაპიის ბლოკი, საავადმყოფოს რე-

აბილიტაციის განყოფილება, ცალკეული რეაბილიტაციის ცენტრი, პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებები, სპორტული და სპორტულ-გამაჯანსაღებელი სტრუქტურების სამედიცინო სამსახური.

დიპლომის შემდგომი განათლების ორწლიანი ეტაპი ემსახურება მაგისტრის ხარისხის მქონე სპეციალისტთა მომზადებას რეაბილიტაციის კონკრეტულ მიმართულებებში, რაც გულისხმობს გაფართოებულ კლინიკურ კომპეტენციებს და სამეცნიერო კვლევის განხორციელების უნარ-ჩვევების შექმნას. ფაკულტეტზე მოქმედებს ორი სამაგისტრო პროგრამა და მზადდება მეტად აქტიურად მიმართულებებზე ორიენტირებული რამდენიმე ახალი პროგრამა.

ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის მაგისტრს შეუძლია აირჩიოს აკადემიური კარიერა. განათლების მექანიზმები, დოქტორანტურის სამსლიანი ეტაპი, კვლევაზე ორიენტირებული და სრულდება სადოქტორო ხარისხის დაცვით ფიზიკურ მედიცინასა და რეაბილიტაციაში.

მაგისტრისა და დოქტორის ხარისხის ფარგლებში შემთხვევაში სპეციალისტს ეძლევა დარგის მარეგულირებელი და საგანმანათლებლო სტრუქტურებში მუშაობის უფლება.

ჩვენი უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის კურსდამთავრებულნი წარმატებულად მონაწილეობენ სხვადასხვა საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტსა და პროფესიულ ტრენინგებში, მათ შორის, მეტად აქტიურად ნეირორეაბილიტაციისა და საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის პათოლოგიების ფიზიკური რეაბილიტაციის, ოკუპაციური თერაპიის, აბსოლუტური რეაბილიტაციისა და მალალტექნოლოგიური დამხმარე საშუალებების თანამედროვე პროგრამები.

ფაკულტეტის კურსდამთავრებულები გამოირჩევიან მაღალი ხარისხის პროფესიული კომპეტენტურობით და მრავალად არიან დასაქმებული საქართველოს ნაშევანი კლინიკების სამედიცინო რეაბილიტაციის განყოფილებებსა და კერძო სარეაბილიტაციო ცენტრებში, მოღვაწეობენ სპორტული კლუბებისა და სპორტის სხვადასხვა სახეობის ნაკრები გუნდების სამედიცინო სამსახურებში. კურსდამთავრებულითა მაღალ კონკურენტუნარიანობაზე მეტყველებს დასაქმების 80%-იანი მაჩვენებელი არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტს გააჩნია მჭიდრო კავშირი აშშ-ს სკენტონის უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტთან. ფაკულტეტზე სისტემატურ ხასიათს ატარებს ამერიკელი პროფესორების ვიზიტები და ლექცია-სემინარები, ისევე, როგორც, ერთობლივი ტელეხიდეი და კონფერენციები.

ფაკულტეტზე დიდი წარმატებით მოქმედებს ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის სტუდენტური საზოგადოება, რომელიც, სტუდენტურ თვითმმართველობასთან ერთად, რეგულარულად აწყობს მრავალფეროვან სასწავლო, სამეცნიერო, კულტურულ და საქველმოქმედო ღონისძიებებს.

უახლოეს მომავალში T.G დასავლეთის საგანმანათლებლო ცენტრსა (ინსბრუკი, ავსტრია) და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს შორის დადგენილი ხელშეკრულების საფუძველზე ამოქმედდება პრაქტიკოსი ექთნების კართულ-ავსტრიული საგანმანათლებლო პროგრამა.

სამედიცინო/საბავშვო საბაკალავრო და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

ჯანდაცვის სისტემის განვითარების თანამედროვე ტემპმა და ტენდენციებმა რადიკალურად შეცვალა ექთნის როლის, კომპეტენციისა და პასუხისმგებლობის ტრადიციული ხედვა. საექთნო განათლების წინაშე სრულიად განსხვავებული მოთხოვნები დადგა. სამედიცინო პრობლემების მზარდი კომპლექსურობის პირობებში ნარმატიული პროფესიული საქმიანობისთვის აუცილებელი გახდა მომავალი ექთნის ალტურ-ვა ცოდნის იმ მოცულობით, რომელიც ცდება საქართველოში არსებულ საექთნო განათლების ტრადიციულ საზღვრებს. სწორედ ამ გამოწვევის პასუხად 2007 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში შეიქმნა საექთნო განათლების დეპარტამენტი (დღეს – პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები), რომელიც, საქართველოში პირველად, შეუდგა ზოგადი პროფილის მედიცინის უმაღლესი დიპლომამდელი განათლების უნიკალური სამ-

ლიანი (180 ECTS კრედიტი) პროგრამის განხორციელებას; პროგრამას საფუძვლად დაედო ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის საექთნო და საბავშვო განათლების ევროპული სტრატეგია.

ხოლო ხანგრძლივობა 4 აკადემიურ წელს. საბავშვო პროგრამა შემუშავებულია ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ (პროგრამა MATRA) ინიცირებ-


ტეტთან ერთად მონაწილეობა მიიღეს ETC Foundation-მა (ნიდერლანდები), HERA-XXI-მა (სა-

ბებიქალთა უნივერსიტეტმა – Rotterdam University of Midwives (RUM/VAR).

ამჟამად საბაკალავრო პროგრამების გარდა ხორციელდება პრაქტიკოსი ექთნის, პრაქტიკოსი ბებიქალის და სამედიცინო და ფარმაცევტულ მონაცემების მართვაში მონაწილეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

საექთნო (საბავშვო) საბაკალავრო და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა მალაქ კომპეტენციურობასა და კონკურენტუნარიანობაზე მეტყველებს საქართველოს ჯანდაცვის სისტემის სხვადასხვა რგოლში დასაქმების ძალიან მაღალი მაჩვენებელი.

უახლოეს მომავალში T.G დასავლეთის საგანმანათლებლო ცენტრსა (ინსბრუკი, ავსტრია) და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს შორის დადგენილი ხელშეკრულების საფუძველზე ამოქმედდება პრაქტიკოსი ექთნების ქართულ-ავსტრიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის კურსდამთავრებულთა კომპეტენციები აღიარებული იქნება ევროპაში.



2011 სასწავლო წლიდან პროფესიული განათლების სფეროში განხორციელებული რეფორმების კვალდაკვალ ამოქმედდა საექთნო საქმის (ექთანი, ბებიქალი) საბაკალავრო პროგრამები, რომელთა მოცულობა შეადგენს 240 ECTS კრედიტს,

ული პროექტის – „საქართველოში ბებიქალთა ცოდნისა და უნარების გაუმჯობესება“ – ფარგლებში. პროექტის განხორციელებაში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსი-

ქართველო), ბებიქალთა საერთაშორისო კონფედერაციაში (ICM, Hague) და როტერდამის

დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტი

დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის მიზანი დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლების, უწყვეტი პროფესიული განვითარების და პროფესიული მზადების უზრუნველყოფაა. ამ მეტად რთულ და საპასუხისმგებლო საქმიანობას ინსტიტუტი არსებული რეზიდენტურის და უწყვეტი პროფესიული განვითარების სამსახურები უზრუნველყოფენ. რეზიდენტურის სამსახური უზრუნველყოფს დიპლომის შემდგომ მზადებას: რეზიდენტურა; რეზიდენტურის ალტერნატიული ფორმა; სწავლა ხორციელდება განათლების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად უნივერსიტეტული აკრედიტირებული სარეზიდენტო პროგრამებით საუნივერსიტეტო და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან აფილირებულ კლინიკებში 54 (ორმოცდათოთხმეტი) სპეციალობით. რეზიდენტურის სამსახური დროის მოთხოვნათა შესაბამისად მუდმივად უზრუნველყოფს დიპლომის შემდგომი პროფესიული მზადების სისტემის განვითარებასა და გაუმჯობესებას. უწყვეტი პროფესიული განვითარების სამსახურის მიზანი ექიმების, ბებიქალების, ექთნების და ექთანთა თანამშრომლების პროფესიული მზადების უზრუნველყოფაა. მედიცინის და თანამედროვე ტექნოლოგიური პროცესების სწრაფი განვითარების გამო სამედიცინო პერმანენტულად საჭიროებს მიღებული სამედიცინო განათლების გადამამუშავებას და პროფესიული უნარ-ჩვევების დახვეწას. სწორედ ამ მიმართულებით აწარმოებს მუშაობას უწყვეტი პროფესიული განვითარების სამსახური, ახორციელებს რა შემდეგი ტიპის პროგრამებს საუნივერსიტეტო და უნივერსიტეტთან აფილირებულ კლინიკებში: უწყვეტი სამედიცინო განათლების მო-

კლევადიანი ტრენინგი; პროფესიული რეაბილიტაცია; კვალდაკვალ პროგრამა; პროფესიული რეაბილიტაცია კლინიკური მოდულით; კლინიკური სტაჟირების კურსი; გადამზადების პროგრამა; სუბსპეციალობის პროგრამა; რეზიდენტურის პროგრამის შემოკლებული კურსი; სპეციალიზაციის პროგრამა. ინსტიტუტის მიღწევად მიგვანჩნია დიპლომის შემდგომი სწავლების წარმოება საქართველოს სხვადასხვა ქალაქში: ქუთაისში, საჩხერეში, ბათუმში, თელავში, ზუგდიდსა და მარნეულში. მუდმივად მიმდინარეობს მუშაობა სწავლების არეალის გაფართოებაზე. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტს ურთიერთობა აქვს უცხოეთის ნამყვან სპეციალისტებთან და კლინიკებთან. მოქმედებს გაცვლითი პროგრამები რეზიდენტებისა და ექიმებისთვის მსოფლიოს სხვადასხვა საუნივერსიტეტო კლინიკაში, სადაც ჩვენი წარგზავნილები წარმატებით ეუფლებიან თანამედროვე მედიცინის მიღწევებს და შესაბამისი ცოდნით ალტურვილი ბრუნდებიან საქართველოში. ინსტიტუტის დიდ გამარჯვებად შეიძლება მივიჩნიოთ ევროპის სამედიცინო სპეციალობათა ასოციაციის მიერ „ზოგადი ქირურგიის“ პროგრამის, ხოლო ევროპის კარდიოლოგთა საზოგადოების მიერ „ექოკარდიოგრაფიის“ პროგრამის აღიარება, რაც ჩვენს კურსდამთავრებულებს გზას უხსნის ევროკავშირში დასაქმებისკენ. ჯანდაცვის სფეროში არსებული თანამედროვე მოთხოვნებიდან და საკითხთა აქტუალობიდან გამომდინარე ინსტიტუტი აგრძელებს მუშაობას სხვადასხვა სტრატეგიული მიმართულებით.

სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის, მანაჯერული და დოქტორანტურის სამსახური

სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის, მანაჯერული და დოქტორანტურის სამსახური პასუხისმგებელია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში განხორციელებული სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციაზე, მანაჯერული და დოქტორანტურის საქმიანობაზე. სამსახური, მისი დანიშნულებიდან გამომდინარე, აქტიურად თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტთან, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლასთან და სხვა სტრუქტურულ დანაყოფებთან. სამსახურის საქმიანობა მოიცავს სამაგისტრო და სადოქტორო კვლევის პროგრამების დამტკიცების პროცესის, დოქტორანტურასა და მანაჯერულ პროგრამებში კონკურსის გამოცხადების, მისაღები გამოცდების ჩატარებისა და დოქტორანტთა თუ მანაჯერულ ანტი-ჩარისხის პროცესის ორგანიზებას; პერმანენტულ კონტროლს აღნიშნული პროგრამების განხორციელებაზე; სამაგისტრო ნაშრომების დაცვისა და დოქტორანტების მიერ სასწავლო კომპონენტის გავლის ორგანიზებას; სადოქტორო დისერტაციების დაცვისთვის სათანადო დოკუმენტაციის მომზადებას სადისერტაციო საბჭოებში წარსადგენად. სამსახური უზრუნველყოფს ინფორმაციის შეგროვებას თსსუ-ში განხორციელებული სამეცნიერო კვლევების, სხვადასხვა დეპარტამენტის თუ მიმართულების მიერ მიღებული გრა-

ნტების და სხვა სამეცნიერო აქტივობების შესახებ, რომლის სისტემატიზების შემდეგ ამზადებს უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის ყოველწლიურ ანგარიშებს. ამ ანგარიშების წარდგენა და მოხსენება ხდება როგორც მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში, ასევე, სხვადასხვა სამეცნიერო ფორუმზე. მოთხოვნის შემთხვევაში ინფორმაცია თსსუ-ის სამეცნიერო მუშაობის შესახებ ეგზავნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და სხვა დაინტერესებულ სახელმწიფო უწყებებს. 2013 წელს თსსუ-ში ხორციელდებოდა 100 ინდივიდუალური სადოქტორო კვლევის პროგრამა. ამ წელს დისერტაცია დაიცვა 15 დოქტორანტი, რომლებსაც ჯანდაცვის შესაბამისი დარგის დოქტორის აკადემიური ხარისხი მიენიჭათ. თსსუ-ში მოქმედებს ათი სამაგისტრო პროგრამა. მათგან საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტზე – საზოგადოებრივი ჯანდაცვა, ჯანდაცვის ადმინისტრირება და მენეჯმენტი, ეპიდემიოლოგია და გარემოს მედიცინა; ფარმაციის ფაკულტეტზე – ფარმაცევტული კოსმეტოლოგია და პარფიუმერია, ფარმაცევტული ანალიზი, ფარმაციის მენეჯმენტი, სამრეწველო ფარმაცია; ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტზე – პედაგოგიური რეაბილიტაცია, რეაბილიტაციაში მრჩეველი, ჯანმრთელობის ხელშეწყობა, ჯანმრთელობითი განათლება.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და კლინიკებს შორის ფორმდება სალმედიცინო და მემორანდუმი, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიური უმაღლესი განათლების ყველა საფეხურის და უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამების განხორციელებას

კლინიკებთან ურთიერთობის სამსახური

ჩვენი სამსახურის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა სტუდენტთა და რეზიდენტთა თანამედროვე სტანდარტებით პრაქტიკული სწავლების ხელშეწყობაა.

ამ მიზნით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და კლინიკებს შორის ფორმდება ხელშეკრულება და მემორანდუმი, რომლებიც უზრუნველყოფს აკადემიური უმაღლესი განათლების ყველა საფეხურის და უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამების განხორციელებას, რომლის მიზანია მხარეთა ერთობლივი საქმიანობით შეიქმნას შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მქონე, კვალიფიციური ექიმებითა და პედაგოგებით დაკომპლექტებული, სამედიცინო საგანმანათლებლო დაწესებულების კლინიკური ბაზა, სადაც ხორციელდება კლინიკური დისციპლინების დიპლომამდელი, დიპლომის შემდგომი სწავლება და უწყვეტი პროფესიული განვითარება, სამედიცინო კვლევები, ექიმე-

ბისთვის აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევების ათვისება, რაც გათვალისწინებულია საქართველოში აღიარებული საერთაშორისო სტანდარტებით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, უნივერსიტეტის კლინიკებთან ურთიერთობის სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობს სამედიცინო ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან, რომელთა უმრავლესობა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია და დღემდე მის ერთგულად რჩება.

კლინიკებთან ურთიერთობის სამსახური განაგრძობს ხელშეკრულებების და მემორანდუმების გაფორმებას სხვადასხვა სამედიცინო დანესებულებასთან.

2009-2013 წწ. ხელშეკრულება და მემორანდუმი გაფორმდა 149 სამედიცინო და კვლევით დაწესებულებასთან, რომელთა შორისაა:

- 7 კვლევითი ინსტიტუტი;
- 47 ცენტრი;
- 31 სტომატოლოგიური კლინიკა

კლინიკებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი და ხელშეკრულება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს საშუალებას აძლევს მათ ბაზაზე განათავსოს კლინიკური დეპარტამენტები და მიმართულებები.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკური სამსახურის ერთ-ერთი



მიმართულება აკადემიური პერსონალის კლინიკური საქმიანობის ხარისხის ამაღლება და დეპარტამენტების მიერ პროცესის თანამედროვე დონეზე განხორციელების ხელშეწყობაცაა, რომლის გარეშეც ვერ მომზადდება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სამედიცინო კადრი.



საზაფხულო სკოლა-სტაჟირების პროექტი

2013 წლის ზაფხულში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, ბოლო 20 წლის განმავლობაში პირველად, განხორციელდა სტუდენტთა საზაფხულო სკოლა-

უძველად დაედო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და ჩვენი ქვეყნის პრაქტიკულად ყველა რეგიონის სამედიცინო დაწესებულებებთან გაფორმებულ

მემორანდუმებს; თბილისის სამედიცინო დაწესებულებების გარდა, პროექტში მონაწილეობდნენ ქუთაისის, ბათუმის, ზუგდიდის, საჩხერის, თელავის, რუსთავის, გორის, ხაშურის, სენაკის, ლანჩხუთის და მარტვილის სამედიცინო დაწესებულებები.

საზაფხულო სკოლა-სტაჟირების ძირითადი მიზნებია: სტუდენტების მიერ თეორიული და კლინიკური დისციპლინების შესწავლისას მიღებული ცოდნის გამყარება; სწავლების პროცესში შეძენილი პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაღრმავება და სრულყოფა;

კლინიკაში სამკურნალო პროცესის, ექიმის მუშაობის

პირობების, ჯანდაცვის ორგანიზაციის და ეპიდსაინაღმდეგო მუშაობის პრინციპების გაცნობა;

სხვადასხვა დაავადებების პრევენციის უნარ-ჩვევების გამყარება.

კლინიკებში მუშაობისას სამედიცინო უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტის 400-მდე სტუდენტმა გაიღრმავა კლინიკური დისციპლინების შესწავლისას მიღებული სადიაგნოსტიკო უნარ-ჩვევები; გაეცნენ ავადმყოფის გამოკვლევის სხვადასხვა მეთოდებს, პრაქტიკულად დააკვირდნენ კლინიკური აზროვნებისა და სამედიცინო ეთიკის პრინციპების რეალიზებას, ჯანდაცვის მენეჯმენ-

ტის ძირითად პრინციპებს, სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოებას.

საზაფხულო სკოლა-სტაჟირების პროექტში ჩართულ სტუდენტებს სერტიფიკატები გადაეცათ, ხოლო ღვაწლი იმ სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელებისა, რომელთაც განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინეს სტუდენტების და მათი Alma Mater-ის მიმართ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ ზ. ვადაჭკორიას მადლობის სიგელებით აღინიშნა.

2013 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში საზაფხულო სკოლა-სტაჟირება გაიარა სხვადასხვა ფაკულტეტის 363 სტუდენტმა.

პროექტში მონაწილეობდა 25 სამედიცინო კლინიკა, 6 სტომატოლოგიური კლინიკა, სადაზღვევო კომპანია, 3 ფარმაცევტული კომპანია, 2 ჰოსპიტალური ქსელი, 2 რეგიონული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი, ქ. თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგური და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.



სტაჟირების პილოტური ნებაყოფლობითი პროექტი.

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურმა, სტუდენტური თვითმმართველობის მხარდაჭერით, გამოიკვლია სტუდენტთა მოსაზრებები და მათი მოლოდინი პრაქტიკული სტაჟირების თვალსაზრისით და ეს ყოველივე საფ-



კლინიკის რეკონსტრუქცია და მოდერნიზაცია განხორციელდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ სახელმწიფოს აქტიური თანადგომით და დახმარებით.

(ქ.თბილისი, გუდამაყრის ქ. №4, ყოფილი მე-8 საავადმყოფო, ტელ.: 2 610 101)

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს 2014 წლიდან აღადგვილის სახელობის ახალი საუნივერსიტეტო კლინიკა შეემატება



- კლინიკა გათვლილია 163 საწოლზე;
- კლინიკაში დასაქმდება 400-ზე მეტი თანამშრომელი.

კლინიკაში იწუნედიონირებას:

ამბულატორია
 კლინიკური ლაბორატორია
 გადაუდებელი მედიცინა (ემერჯენსი)
 რადიოლოგიური დიაგნოსტიკა (რენტგენი, ენდოსკოპია, ექოსკოპია, კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია)
 სისხლის გადასხმის კაბინეტი
 აფთიაქი

ქირურგიული პროფილის სამსახურები:

მუცლის ღრუს ქირურგია (ლაპაროსკოპიით)
 გულმკერდის ქირურგია (თორაკოსკოპიით)
 პროქტოლოგია (ლაპაროსკოპიით)
 სისხლძარღვთა ქირურგია
 ენდოკრინული ქირურგია
 ქირურგიული ინფექცია – ჩირქოვანი ქირურგია
 კარდიოქირურგია
 ნეიროქირურგია
 ტრავმატოლოგია
 ყბა-სახის ქირურგია
 უროლოგია (ლაპაროსკოპიით)
 ოტორინოლარინგოლოგია
 თვალის სნეულებები
 მეანობა-გინეკოლოგია (ლაპაროსკოპიით)
 ხელოვნური თირკმელი – დიალიზი

თერაპიული პროფილის სამსახურები:

ზოგადი თერაპია
 ნევროლოგია
 სამედიცინო რეაბილიტაცია
 ენდოკრინოლოგია
 საოჯახო მედიცინა
 კანისა და ვენერიული სნეულებები
 კარდიოლოგია (კათეტერიზაციის ლაბორატორიით)

ენდოსკოპიური სამსახური

მომავალში იგეგმება კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრის, ასევე ეპიდემიოლოგიური და პათოლოგანათომიური კვლევის ცენტრების ამოქმედება.

საუნივერსიტეტო კლინიკის უპირატესი მხარეები:

მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალით დაკომპლექტება, რაც უზრუნველყოფს:
 მაღალი ხარისხის კლინიკურ-სასწავლო საქმიანობას და სამეცნიერო კვლევას;
 კლინიკური კვლევის განხორციელებას, ახალი დიაგნოსტიკური საშუალებების, სამკურნალო პრეპარატების, ახალი სამედიცინო ხელსაწყოების და აპარატების აპრობაცია-დანერგვას;
 ეპიდემიოლოგიური და პათანატომიური კვლევის ცენტრების ფუნქციების განხორციელებას;
 უცხოელ პარტნიორებთან ერთად, საერთაშორისო გრანტების საფუძველზე, სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელებას.
 განსაკუთრებით მწვავე და გადაუდებელი შემთხვევების მართვაში სამედიცინო ავიაციის გამოყენების საშუალება (ვერტმფრენის მისაღები მოედანი);
 ექსტრემალურ სიტუაციებში გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ორგანიზება და ჩატარება, სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობა.

სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა საშუალო და დაბალი შემოსავლების მქონე პაციენტებისთვის; საუნივერსიტეტო კლინიკის სამედიცინო მომსახურებაში დოქტორანტთა, რეზიდენტთა და სტუდენტთა ჩართვა გამოიწვევს მომსახურების გაიაფებას, რაც წარმოადგენს საუნივერსიტეტო კლინიკის ერთ-ერთ ძირითად თავისებურებას.





კლინიკა პაციენტებს სთავაზობს მაღალი სტანდარტის ამბულატორიულ, სტაციონარულ და სადიაგნოსტიკო სერვისს. იგი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკური სასწავლო ბაზაა, სადაც სტუდენტები და რეზიდენტები იქაენ კლინიკურ ცოდნას და ეუფლებიან კლინიკურ უნარებს. კლინიკის სამედიცინო, სასწავლო თუ კვლევით საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობენ უცხოელი პროფესორები – მაღალკვალიფიციური სპეციალისტები აშშ-დან, დიდი ბრიტანეთიდან, გერმანიიდან, ისრაელიდან და სხვ.
(ქ. თბილისი, დიღმის მასივი, ლუბლიანას ქ. №21, ტ.: 2 540 697)

თსსუ-ის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა

გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა მრავალპროფილიანი ბავშვთა საავადმყოფოა, აღჭურვილი თანამედროვე სამედიცინო აპარატურით, მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიებით, სადაც მოღვაწეობენ სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორები. კლინიკა პაციენტებს სთავაზობს მაღალი სტანდარტის ამბულატორიულ, სტაციონარულ და სადიაგნოსტიკო სერვისს. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკური სასწავლო ბაზაა, სადაც სტუდენტები და რეზიდენტები იძენენ კლინიკურ ცოდნას და ეუფლებიან კლინიკურ უნარებს. კლინიკის სამედიცინო, სასწავლო თუ კვლევით საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობენ უცხოელი პროფესორები – მაღალკვალიფიციური სპეციალისტები აშშ-დან, დიდი ბრიტანეთიდან, გერმანიიდან, ისრაელიდან და სხვ.



ლმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა და ორგანიზაციამ – „ქართული ოცნება – ჯანმრთელი მომავალი“ – მოაწერეს ხელი მემორანდუმს ურთიერთთანამშრომლობის შესახებ უნივერსიტეტის კლინიკების აკადემიური პერსონალის მიერ ქვეყნის რეგიონებში მოსახლეობის უფასო სამედიცინო გამოკვლევის და შემდგომი მკურნალობის მიზნით.

გასულ წელს კლინიკის ექიმებმა მონაწილეობა მიიღეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და ორგანიზაცია – „ქართული ოცნება – ჯანმრთელი მომავალი“ – შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში ჩატარებულ საქველმოქმედო აქციებში: ქ. ბორჯომის და ბორჯომის რაიონის ბავშვთა მოსახლეობის სამედიცინო გამოკვლევა, რომლის მსვლელობისას, ბორჯომის „ნიუ ჰოსპიტალის“ ბაზაზე, შემონმება ჩატარდა 400-ზე მეტ ბავშვს, სპეციალისტებთან შესრულდა 1000-ზე მეტი ვიზიტი; ხაშურის რაიონში სამედიცინო შემონმება ჩატარდა 300-ზე მეტ ბავშვს; ექიმ-სპეციალისტებთან განხორციელდა 600-მდე ვიზიტი; დუშეთში 100-ზე მეტ ბავშვს ჩატარდა სამედიცინო შემონმება.

სახის ქირურგია
ოფთალმოლოგია
ოტორინოლარინგოლოგია
ანესთეზიოლოგია
კრიტიკული მედიცინის სამსახური
სასწრაფო-გადაუდებელი და ამბულატორიული მომსახურების სამსახური
ლაბორატორიული და დიაგნოსტიკური კვლევის სამსახური
2013 წელს თბილისის სახე-

კლინიკაში უწყვეტობისთვის:

თერაპიის სამსახური:
ნეონატოლოგია
ბავშვთა ნევროლოგია
ბავშვთა სნეულელები

ბავშვთა და მოზარდთა მედიცინა
ბავშვთა ენდოკრინოლოგია
ჰემატოლოგია

ალერგოლოგია
ქირურგიის სამსახური:
ბავშვთა ქირურგია
ბავშვთა და მოზარდთა ყბა-

სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთა სწავლებას ემსახურება სამი თანამედროვე საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკა:



ა. ურუშაძის სახელობის საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკა (დავით აღმაშენებლის გამზირი №126, ტელ.: 2-95-20-89);

თსსუ-ის №1 სტომატოლოგიური კლინიკა (დ.უზნაძის ქ.№2, მტკვრის მარცხენა სანაპირო, ტელ.: 2-95-32-09);

თსსუ-ის №2 სტომატოლოგიური კლინიკა (ცოტნე დადიანის ქ.№303, ტელ.: 2-66-23-61).

აღნიშნულ კლინიკებში უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და მაღალკვალიფიციური ექიმი-სტომატოლოგების მიერ წარმოებს სრული სპექტრის სტომატოლოგიური მომსახურება.

სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის მნიშვნელოვანი წვლილი შაქავს უნივერსიტეტის მთავარი მისიის – ცოდნისა და კვლევის აკადემიური ხარისხის აღსრულებაში

სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი



2011 წლიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური სივრცის ნეკრია სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს უნივერსიტეტის მთავარი მისიის – „ცოდნისა და კვლევის აკადემიური ხარისხის“ – შესრულებაში.

ბიოტექნოლოგია და ბიოინდუსტრია ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ნაწილია, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებში მიღწეულ პროგრესს, რაც, ჯანმრთელობის დაცვასთან ერთად, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი საფუძველია.

ინსტიტუტი ამ მიმართულებით დაარსების დღიდან მუშაობდა და აქტიურად მუშაობს დღესაც. აკადემიკოს ვლადიმერ ბახუტაშვილის ხელმძღვანელობით ადამიანის ექსტრაემბრიონული ქსოვილებიდან მიღებული იქნა პრეპარატი პლაფერონ-ლბ, დადგენილია პლაფერონ-ლბ-ს იმუნომამოდიულირებელი, ანტიოქსიდაციური, ანტიბაქტერიული და სხვა მოქმედება; პლაფერონ-ლბ, ვლ. ბახუტაშვილის მიერ, 2004 წელს დაპატენტდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. 2009-2010 წლებში სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი, წარმატებული სამეცნიერო



მუშაობისთვის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ დაჯილდოებულია წლის საუკეთესო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების დიპლომით მედიცინის დარგში.

სადღეისოდ ინსტიტუტის მთავარი სამეცნიერო პრიორიტეტებია:

სხვადასხვა პათოლოგიის (აუტოიმუნური, გენეტიკური, სიმსივნური, ინფექციური და ასხვ.) დიაგნოსტიკისა და მონოკლონალური ანტიბიodies-ის დენ-

ტიფიცირება და მათზე მოქმედი ძირითადი რისკ-ფაქტორების შეფასება;

ასაკთან დაკავშირებული ცვლილებების შეფასება და მათი როლის დადგენა დაავადებების ადრეული გამოვლინების და მკურნალობის სტრატეგიის განსაზღვრისთვის;

იმუნურ სისტემაზე სხვადასხვა ტიპის ინტერვენციული თერაპიის ეფექტის შეფასება ექსპერიმენტულ და კლინიკურ ახალი სამკურნალო ფორ-



მების შექმნა და დახვეწა;

საკვებ პროდუქტებში არსებული ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების იდენტიფიცირება და მათი სამედიცინო მნიშვნელობის დადგენა.

პრიორიტეტული კვლევები ფინანსდება ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდების მიერ (შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, შვეიცარიის სამეცნიერო ფონდი, უკრაინის განვითარებისა და ტექნოლოგი-

ების ფონდი და სხვ.). უკანასკნელი წლების განმავლობაში მოპოვებული გრანტების ჯამური ღირებულება 1 მილიონ ლარს აღემატება.

სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ 2011-2013 წლებში გამოქვეყნებულია 80-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის – მაღალრეიტინგულ და ავტორიტეტულ სამეცნიერო გამოცემებში საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ.



ფარმაცოქიმიის ინსტიტუტი ამიერკავკასიაში ერთადერთია, რომელიც მუშაობს ბუნებრივი რესურსების ფუნდამენტური, გამოყენებითი და განვითარებაზე ორიენტირებული კვლევის მიმართულებით, ახალი ორიგინალური სამკურნალო საშუალებების შემუშავებაზე.

იოველ ქუთათელაძის სახელობის ფარმაცოქიმიის ინსტიტუტი

1932 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის წიაღში თბილისის ფარმაცოქიმიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი დაარსდა. თითქმის რვა ათეული წლის შემდეგ, 2010 წლის 20 აგვისტოს საქართველოს მთავრობის დადგენილებით იოველ ქუთათელაძის ფარმაცოქიმიის ინსტიტუტი კვლავ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს შეუერთდა.

ფარმაცოქიმიის ინსტიტუტი ამიერკავკასიაში ერთადერთია, რომელიც მუშაობს ბუნებრივი რესურსების ფუნდამენტური, გამოყენებითი და განვითარებაზე ორიენტირებული კვლევების მიმართულებით, ახალი ორიგინალური სამკურნალო საშუალებების შემუშავებაზე.

ინსტიტუტის თანამშრომელთა მრავალწლიანი კვლევების შედეგად შემუშავებულია ათობით მაღალეფექტური, მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი, ორიგინალური პრეპარატი, რომელიც ნაწილობრივ აღიარებულია, როგორც საერთაშორისო პატენტურ ნაწილი და კონკურენტუნარიანი პრეპარატი; მ მათგანი დარეგისტრირებულია აშშ-ში, 5 -რუსეთში, ხოლო ინსტიტუტის „ბრენდი“ პრეპარატი – „კარიპაზიმი“ დღეს-ს ქვეყნებში ექსპორტირდება. გამორჩეულია ინსტიტუტში შემუშავებული ორიგინალური პრეპარატების წარმოების და რეალიზაციის მასშტაბი, რომლის მოცულობამ გასულ წელს 1,5 მილიონ ლარს გადაჭარბა, მათგან 1 მილიონამდე ღირებულებ-

ის პრეპარატი ერთ-ერთ სახელმწიფო პრიორიტეტზე – ექსპორტზე გავიდა.

ფარმაცოქიმიის ინსტიტუტი მონიწივე სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების სახელით სარგებლობს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში, შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სისტემაში. ინსტიტუტი აქტიურადაა ჩართული ეკონომიკურ, საკონსულტაციო და საექსპერტო საქმიანობაში.

ინსტიტუტი ურთიერთსასარგებლო წარმატებულ სამეცნიერო თანამშრომლობას ეწევა

უცხოეთის 40-მდე წამყვან უნივერსიტეტთან და სამეცნიერო ცენტრთან მარსელში, კვებეკში, ლიუუში, ბუფალოში, სალერნოში, ათენში და სხვ.

ფარმაცოქიმიის ინსტიტუტი სამეცნიერო პოტენციალით, კადრებით და ექსპერიმენტულ-სანარმოო ბაზით უმძლავესი კატეგორიის სამეცნიერო, სასწავლო და პრაქტიკულ დაწესებულებად ითვლება, როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე უცხოეთის სხვადასხვა უნივერსიტეტის მეცნიერებისა და დოქტორანტებისთვის, მაგისტრანტებისა და სტუდენტებისთვის.

ინსტიტუტმა რეინტეგრაციის შემდეგ, უნივერსიტეტის მხარში დგომით, შეძლო საქმიანობის წარმატებით გაგრძელება, არ-

სებული უძრავ-მოძრავი ქონების შენარჩუნება და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; მკვეთრად გაიზარდა ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება.

მიუხედავად არსებული წარმატებებისა, ფარმაცოქიმიის ინსტიტუტის კოლექტივი მიღწეულით არ კმაყოფილდება-კვლავაც გეგმავს საკუთარი სამეცნიერო და ეკონომიკური საქმიანობის განვითარებას, პირველ რიგში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მხარდაჭერით, ასევე, „მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის“ სახელმწიფო პროგრამული დაფინანსების ფორმატით.



საინტერესო და დინამიური საგანმანათლებლო პროგრამები, კვალიფიციური პროფესორა, ეფექტური მენეჯმენტი, განათლებისა და საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის მაღალი სტანდარტი, თანამედროვე საგანმანათლებლო-კვლევითი ინფრასტრუქტურა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საერთაშორისო ასპარაჟზე მზარდი წარმატების განმსაზღვრელი პირობებია.

საერთაშორისო ურთიერთობები

მნიშვნელოვანია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიღწევები საერთაშორისო ურთიერთობების ასპარაჟზე.

ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამებს სამედიცინო უნივერსიტეტში განვითარების თითქმის ოცნლიანი ისტორია აქვს. უცხოეთის მოქალაქეები პროფესიულ განათლებას იღებენ მედიცინის ფაკულტეტზე 1996 წლიდან, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტზე – 2008 წლიდან, 2013 წლიდან – უკვე ფარმაციის ფაკულტეტზეც. 2012 წლიდან კი მედიცინისა და სტომატოლოგიის ფაკულტეტებზე უცხოეთის მოქალაქეებისთვის დიპლომირებული მედიკოსის და დიპლომირებული სტომატოლოგის რუსულენოვანი პროგრამები ამოქმედდა.

ამჟამად, თსუ-ში 1800-ზე მეტი უცხოელი სტუდენტი სწავლობს მსოფლიოს 37 ქვეყნიდან: ევროპიდან, ისრაელიდან, ინდოეთიდან, აზიის სხვა ქვეყნებიდან, თურქეთიდან, კანადაიდან, ცენტრალური ამერიკიდან და სხვ. 2014 წლიდან უცხოელი სტუდენტების ჩარიცხვა სამედიცინო უნივერსიტეტში ორეტაპიანი გამოცდების შედეგების მიხედვით ხდება.

2012 წელს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტზე გაიხსნა და აქტიურად ვითარდება საბაკალავრო პროგრამა - „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი“, რომელიც ერთობლივად შემუშავდა გრენობლის (საფრანგეთი) მენეჯმენტისა და ალსრულების აკადემიასთან (UniMan). ჩვენი ფრანგი პარტნიორები აქტიურად იყვნენ ჩართულნი პროგრამის შემუშავებაში, ხოლო მათი სპეციალისტები სასწავლო კურსები პროგრამის მესამე და მეოთხე კურსებზე შეისწავლება. პროგრამის დასრულების შემდეგ გაიცემა ორი დიპლომი – ქართული და ფრანგული, რაც კურსდამთავრებულთა დასაქმების და სწავლის გაგრძელების არეალს კიდევ უფრო გააფართოებს და მიმზიდველს გახდება.

2013 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ამოქმედდა დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა, რომელიც შემუშავდა და ხორციელდება ემორის უნივერსიტეტის (აშშ, ატლანტა) მედიცინის სკოლასთან ერთად.

თსუ არის ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ასოციაციების წევრი, კერძოდ: ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაცია (AMEE), ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაცია (EUA), ევროპის მედიკოს სტუ-

დენტთა ასოციაცია (EMSA), ევრაზიის აბრეშუმის გზის უნივერსიტეტთა კონსორციუმი (ESRUC); თსუ მჭიდროდ თანამშრომლობს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციასთან (WHO), სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციასთან (WFME) და ა.შ.

ამჟამად თსუ-ის პარტნიორი 100-ზე მეტი უნივერსიტეტი და კლინიკა მსოფლიოს 40 ქვეყნიდან. მათთან თანამშრომლობა ორმხრივი ხელშეკრულებებით ან ერთობლივი საერთაშორისო პროექტების (TEMPUS, MEDINE, ERASMUS MUNDUS, MEVLANA) ფარგლებში რეგულირდება.

იზი 5) და სხვ.

ერასმუს მუნდუსის პროექტების ALRAKIS და ALRAKIS-2-ის ფარგლებში ჩვენი საერთაშორისო პარტნიორები არიან: გიოტინგენის გეორგ-აუგუსტუსის (გერმანია), ლიუვენის კათოლიკური (ბელგია), ვარშავის სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების (პოლონეთი), სანტიაგო დე კომპოსტელას (ესპანეთი), ტალინის (ესტონეთი), ტუსკიას (იტალია), გრაცის უნივერსიტეტები (ავსტრია), სტოკჰოლმის სამედიცინო ცენტრი (შვედეთი), ერვენის სახელმწიფო, ევრაზიის საერთაშორისო, ერვენის სა-

ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა Erasmus Mundus-ის კონკურსების ისტორიაში, როცა თემატურ კონსორციუმს – სამედიცინო პროფილის მქონე უნივერსიტეტების გაერთიანებას – ევროკავშირის გრანტი მიენიჭა. პროექტ MEDEA-ს დასავლეთ ევროპელი პარტნიორებია:

ტულუზის პოლ საბატიერის უნივერსიტეტი (საფრანგეთი), ევროპელი კორდინატორი, ბერლინის სამედიცინო უნივერსიტეტი შარიტე (გერმანია), არისტოტელეს უნივერსიტეტი, (თესალონიკი, საბერძნეთი), პერუჯის უნივერსიტეტი (იტალია), ლატვიის უნი-

წიფო სამედიცინო უნივერსიტეტში წარმატებით ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მიერ ინიცირებული პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს უცხოეთის წამყვანი უნივერსიტეტებისა და კლინიკების პროფესორ-მასწავლებელთა და სპეციალისტთა მონაწილეობას საქართველოში ლექციების ჩატარებისა თუ საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით.

2012-2014 წლებში (იანვარი) საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის ორგანიზებით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ეწვია 208 ავტორიტეტული პროფესორი ევროპის, აშშ-ის, თურქეთის, ბრაზილიის, ბალტიისპირეთის, ისრაელის წამყვანი უნივერსიტეტებიდან და კლინიკებიდან. მათ წაიკითხეს თემატური ლექციები საბაზისო და კლინიკური მედიცინის სხვადასხვა დარგში თსუ-ის სტუდენტების, რეზიდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის. საქართველოში უცხოელი სპეციალისტების მიერ ჩატარდა 100-ზე მეტი საქველმოქმედო ოპერაცია.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წარმატებები მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მის საერთაშორისო იმიჯს. ამიტომაცაა, რომ ჩვენთან სწავლის ინტერესი უფრო და უფრო მეტი ქვეყნის ახალგაზრდებს უჩნდება.

თსუ-ის საგანმანათლებლო პოლიტიკა და მაღალი სტანდარტი უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა წარმატებას საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. ამის ნათელი დადასტურება ისიცაა, რომ მხოლოდ 2013 წელს აშშ-ის სალიცენზიო გამოცდების (USMLE) ჩასაბარებლად შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოს განცხადებით მიმართა თსუ-ის 110-მა სტუდენტმა და კურსდამთავრებულმა; 2012-2013 წწ. სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკებში როტაციის სურვილი გამოთქვეს და წარმატებით განახორციელეს სტუდენტებმა და რეზიდენტებმა ავსტრალიიდან, გერმანიიდან და იტალიიდან.

საინტერესო და დინამიური საგანმანათლებლო პროგრამები, კვალიფიციური პროფესორა, ეფექტური მენეჯმენტი, განათლებისა და საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის მაღალი სტანდარტი, თანამედროვე საგანმანათლებლო-კვლევითი ინფრასტრუქტურა – ეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საერთაშორისო ასპარაჟზე მზარდი წარმატების განმსაზღვრელი პირობებია.



აღნიშნული პროგრამებით ყოველწლიურად უნივერსიტეტის 300-ზე მეტი სტუდენტი, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი მონაწილეობს მოკლე თუ გრძელვადიან მობილობის პროგრამებში განათლების დიპლომადელ, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებზე აშშ-ში (სკრენტონის, ემორის, ოლბანის უნივერსიტეტები), ავსტრიაში (ვენის სამედიცინო უნივერსიტეტი), ბელგიაში (ლიუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი); ბულგარეთში (პლევენისა და სოფიის სამედიცინო უნივერსიტეტები), გერმანიაში (ოლდენბურგის კარდიო-ქირურგიული კლინიკა, იენის ფრიდრიხ შილერის, შარიტეს, მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის, ლიუბეკის უნივერსიტეტები, ბორსტელის კვლევითი ცენტრი, ტენიკური უნივერსიტეტის ქირურგიული კლინიკა), საფრანგეთში (მარსელის ხმელთაშუა ზღვის, ტულუზის პოლ საბატიერის სახელმწიფო უნივერსიტეტები, რენე დეკარტის უნივერსიტეტი – პარ-

ხელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტები (სომხეთი), ბაქოს სახელმწიფო „კავკაზ“ და აზერბაიჯანის ენების უნივერსიტეტები (აზერბაიჯანი). პროექტების ALRAKIS და ALRAKIS-2-ის ფარგლებში თსუ-ის სტუდენტები ამჟამადც წარმატებით სწავლობენ საფრანგეთში, ესპანეთსა და ჩეხეთში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა დიდ წარმატებას მიაღწია ევროკავშირის საგანმანათლებლო პროგრამის Erasmus Mundus-ის ფარგლებში გამართულ პრესტიჟულ კონკურსში: დაფინანსდა „მედეა“ (MEDEA-MEDICAL Univrstiteties Alliance) – დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის ცნობილი სამედიცინო უნივერსიტეტების კონსორციუმი. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ამ პროექტის ინიციატორი და რეგვიონული კოორდინატორია.

ივერსიტეტის რიგის სამედიცინო კოლეჯი (ლატვია), ვილინუსის უნივერსიტეტი (ლიტვა), პორტოს უნივერსიტეტი (პორტუგალია), სანტიაგო დე კომპოსტელა (ესპანეთი), კარდიფის მეტროპოლიტანის და ჩესტერის უნივერსიტეტები (დიდი ბრიტანეთი).

თურქეთის უმაღლესი სასწავლებლების მობილობის პროგრამა MEVLANA-ს პროექტის ფარგლებში ჩვენი პარტნიორები არიან: ჩუკუროვას (ადანა), ათათურქის (ერზურუმი), კავკასიის (ყარსი), რეჯეფ ტაიპ ერდოღანის (რიზე), გირესუნ უნივერსიტეტები (გირესუნი). ამ პროგრამის ფარგლებში 2013 წელს 10-ზე მეტი სტუდენტი ჩაერთო სასწავლო პროცესში თურქეთის უნივერსიტეტებში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კარი ღია არა მარტო უცხოელი სტუდენტებისთვის, არამედ საერთაშორისო დონის მკვლევარების, ექიმებისა და პედაგოგებისთვის. 2012 წლიდან თბილისის სახელმ-

პარტნიორი უნივერსიტეტები და ხანტარები

Abant İzzet Baysal University (თურქეთი)
Academy of International Management and Performance "UniMan" (საფრანგეთი)
Agri Mountain University/Ağrı İbrahim Çeçen University (თურქეთი)
Ain Shams University (ეგვიპტე)
Almaty State Institute of Advanced Medical Education (ყაზახეთი)
Aristotle University of Thessaloniki (საბერძნეთი)
Atatürk University (თურქეთი)
Azerbaijan Medical University (აზერბაიჯანი)
Azerbaijan University of Languages (აზერბაიჯანი)
Babes-Bolyai University (რუმინეთი)
Baku State University (აზერბაიჯანი)
Belarusian Medical Academy of Post-Graduate Education (ბელარუსი)
Ben-Gurion University of the Negev (ისრაელი)
Black Sea Universities Network (რუმინეთი)
Bogomoletz National Medical University (უკრაინა)
Bukovinian State Medical University (უკრაინა)
Cardiff Metropolitan University (დიდი ბრიტანეთი)
Carol Davila University of Medicine and Pharmacy (რუმინეთი)
Catholic University of Leuven

(ბელგია)
Catholic University of the Sacred Heart, Milan (იტალია)
Charit – University Medicine Berlin (გერმანია)
Danubius University of Galati (რუმინეთი)
Daugavpils Medical College (ლატვია)
Donetsk State Medical University (უკრაინა)
Ege University, Izmir (თურქეთი)
Emory University (აშშ)
Erevan State University of Architecture and Construction (სომხეთი)
Erzincan University (თურქეთი)
Eurasia International University (სომხეთი)
Faculty of Medicine, University of Colombo (შრი-ლანკა)
Friedrich-Schiller-University of Jena (გერმანია)
Georg-August University of Goettingen (გერმანია)
Giresun University (თურქეთი)
Ivano-Frankivsk National Medical University (უკრაინა)
Karlsruhe Neurosurgery Clinic (გერმანია)
Kars Caucasus University/Kafkas University (თურქეთი)
Kharkiv Medical Academy of Postgraduate Education (უკრაინა)

Kiit University (ინდოეთი)
Klaipeda University (ლიტვა)
Lucian Blaga University of Sibiu (რუმინეთი)
Ludwig Maximilian University of Munich (გერმანია)
Lugansk National Pedagogical University (უკრაინა)
Masaryk University, Faculty of Medicine (ჩეხეთი)
Medical University – Sofia (ბულგარეთი)
Medical University of Gdansk (პოლონეთი)
Medical University of Graz (ავსტრია)
Medical University of Lublin (პოლონეთი)
Medical University of Silesia (პოლონეთი)
Medical University of Varna (ბულგარეთი)
Medical University of Vienna (ავსტრია)
Medical University of Warsaw (პოლონეთი)
Medical University-Pleven (ბულგარეთი)
Midwifery Rotterdam University (ნიდერლანდები)
Nakhchevan State University (აზერბაიჯანი)
National University of Pharmacy, Kharkov (უკრაინა)
Nicolae Testemitanu State University of Medicine and Pharmacy (მოლდოვა)

On dokuz Mayıs University, Samsun (თურქეთი)
P. Stradins Medical College of the University of Latvia (ლატვია)
Paris Descartes University – Paris V (საფრანგეთი)
Paul Sabatier University – Toulouse III (საფრანგეთი)
Poznan University of Medical Sciences (პოლონეთი)
Qafqaz University (აზერბაიჯანი)
Recep Tayyip Erdoğan University (თურქეთი)
Riga Stradin's University (ლატვია)
Rize University (თურქეთი)
Royal Institute of Technology, Stockholm (შვედეთი)
Samarkand State Medical Institute (უზბეკეთი)
Simmelweis University (უნგრეთი)
Tallinn University (ესტონეთი)
Ternopil State Medical University (უკრაინა)
The Center of Cardiovascular Surgery of Oldenburg (გერმანია)
The Research Center Borstel/The University of Lübeck (გერმანია)
Tuscia University (იტალია)
Ukrainian Medical Stomatological Academy (უკრაინა)
University at Albany (აშშ)
University of Barcelona (ესპანეთი)
University of Bergen (ნორვეგია)
University of Chester (დიდი ბრიტანეთი)

University of Duisburg-Essen (გერმანია)
University of Genoa Degli Studi (იტალია)
University of Glasgow (დიდი ბრიტანეთი)
University of Granada (ესპანეთი)
University of Leeds (დიდი ბრიტანეთი)
University of Lige (ბელგია)
University of Naples (იტალია)
University of Paris East-Crteil (საფრანგეთი)
University of Perugia (იტალია)
University of Porto (პორტუგალია)
University of Quebec in Chicoutimi (კანადა)
University of Rome "Tor Vergata" (იტალია)
University of Santiago de Compostela (ესპანეთი)
University of Scranton (აშშ)
University of Szeged (უნგრეთი)
University of the Mediterranean Aix-Marseille (საფრანგეთი)
Utrecht University (ნიდერლანდები)
Vilnius University (ლიტვა)
Warsaw University of Life Sciences (პოლონეთი)
Yerevan State Medical University (სომხეთი)
Yerevan State University (სომხეთი)
• ukurova University (თურქეთი)

2013 წლის მარტიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მესამე კურსის სტუდენტებისთვის დაიწყო ახალი სასწავლო კურსი – შემთხვევაზე დაფუძნებული კლინიკური აზროვნება. ეს მეთოდი ამჟამად იწარმოება ევროპის და აშშ-ის ბევრ წამყვან სამედიცინო სასწავლებელში და მიჩნეულია სტუდენტის კლინიკური აზროვნების განვითარების მეთად ეფექტურ ინოვაციად.

სამედიცინო განათლების, კვლევის და სტრატეგიული განვითარების დაპარტამენტი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის განათლების, კვლევის და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ძირითადი მიზნებია: სწავლის, სწავლების და სტუდენტთა ცოდნის შეფასების მოდერნიზაცია, საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტების შემუშავება და მათი შედეგები განხორციელება. ამ მხრივ უნივერსიტეტმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია.

2009 წლიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი განეწესა ევროპის სამედიცინო განათლების თემატურ ქსელში MEDINE 2. ეს უკანასკნელი შეიქმნა ევროპაში ბოლონის პროცესის მოთხოვნების შესაბამისი სამედიცინო განათლების სტანდარტების შემუშავების მიზნით. აღსანიშნავია, რომ MEDINE 2-ში არაერთგვაროვანი ქვეყნებიდან მხოლოდ საქართველო და თურქეთი იყო გაერთიანებული, რომელსაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამი წევრი (უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია, რექტორის მოადგილე პროფესორი რიმა ბერაძე და პროფესორი გაიანე სიმონია) წარმოადგენენ. თსუ-ის წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობდნენ MEDINE2-ის სამუშაო ჯგუფებში (ვიდეორეგია, 2010; ბუდაპეშტი, 2011, ვენა, 2011, ადინბურგი, 2012) და დიდი წვლილი შეიტანეს ევროპაში დიპლომადმიანი სამედიცინო განათლების კურსდამთავრებულთა კომპეტენციების შემუშავებაში.

MEDINE 2-ის სამედიცინო განათლების სტანდარტების საფუძველზე, წევრი ქვეყნებიდან პირველად საქართველოში იქნა შემუშავებული მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მასასიათებლები, რომლებიც საფუძვლად დაედო უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლების პროგრამულ აკრედიტაციას.

2011 წელს ევროკომისიის მიერ დაფინანსდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში შემუშავებული სამწლიანი პროექტი – „დიპლომადმიანი სამედიცინო განათლების მოდერნიზაცია ევროგაერთიანების აღმოსავლეთ სამედიცინო უნივერსიტეტში“ (Modernising Undergraduate Medical Education in EU Eastern Neighbouring Area, MUMEENA).

პროექტი მიზნად ისახავდა სამედიცინო განათლების თვისობრივ გარდაქმნას - ევროპული სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო განათლების ახალი მოდელი შემუშავებას და დაწესებულების საქართველოს, უკრაინის და აზერბაიჯანის უმაღლეს სამედიცინო სასწავლებლებში. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (ძირითადი განმარტებული) გარდა, პროექტში მონაწილეობენ: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ლიდის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი), უტრეხტის უნივერსიტეტი (ნიდერლანდები), გრანადის უნივერსიტეტი (ესპანეთი), რომის საკრეკორის უნივერსიტეტი (იტალია), კიევის და ივანე ფრანკოვსკის სამედიცინო უნივერსიტეტები (უკრაინა), ბაქოს და ნახიჩევანის სამედიცინო უნივერსიტეტები (აზერბაიჯანი).

პროექტის კოორდინატორია ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის პრეზიდენტი, ლიდის უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ტრუდი რობერტსი.

2012 წლის იანვარში ჩატარდა პროექტის გახსნითი კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ყველა პარტნიორი ქვეყნის წარმომადგენლებმა. სწორედ ამ ფორუმზე აღნიშნა პროექტის კოორდინატორმა, პროფესორმა ტრუდი რობერტსმა, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში განხორციელებული პროგრესული გარდაქმნები რეკლუციურია სამედიცინო განათლებასში.

სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში ევროპის პარტნიორ უნივერსიტეტებში (ლიდის, უტრეხტის, გრანადის და რომის უნივერსიტეტებში) ტრენინგი გაიარა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თხოვთმეტმა პროფესორმა, ქართულ ენაზე მომზადდა მეთოდური ლიტერატურა. პროექტის მიმდინარეობის შესახებ კეთდება მოხსენებები ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის ყოველწლიურ კონფერენციებზე.

2012 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, ტემპუსის პროექტის და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ერთობლივი დაფინანსებით, შეიქმნა აკადემიური განვითარების ცენტრი, სადაც მიმდინარეობს უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლების აკადემიური პერსონალი.

2013 წლის სექტემბერში ლიდის უნივერსიტეტის პროფესორმა გოდფრი პელმა უნივერსიტეტის პროფესორებს გაუზიარა თავისი გამოცდილება სტუდენტთა შეფასების მეთოდების შესახებ.

2013 წლის მარტიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მესამე კურსის სტუდენტებისთვის დაიწყო ახალი სასწავლო კურსი – შემთხვევაზე დაფუძნებული კლინიკური აზროვნება. კურსის მიზანია, განუვითაროს სტუდენტებს უნარი, გამოიყენონ შექმნილი ცოდნა რომელიმე კლინიკური პრობლემაზე.



პროფ. ტრუდი რობერტსი

პროფ. ილა ბან კაბე

პროფ. ანა-მარია რაშიო

ნალის გადაზიდვად თანამედროვე სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში. ცენტრში ტრენინგებს ატარებენ როგორც სამედიცინო განათლების მსოფლიოში აღიარებული ექსპერტები, ასევე, უნივერსიტეტის პროფესორები, რომლებმაც უკვე მიიღეს სათანადო კომპეტენცია ევროპის წამყვან სამედიცინო განათლების ცენტრებში. აკადემიური განვითარების ცენტრის გახსნასთან დაკავშირებით, 2012 წლის დეკემბერში, ბრიტანელი ექსპერტების მიერ, უნივერსიტეტში ჩატარდა სიმპოზიუმი – „სამედიცინო განათლების ძირითადი სტრატეგიები XXI საუკუნე-

ში“. 2013 წლის სექტემბერში ლიდის უნივერსიტეტის პროფესორმა გოდფრი პელმა უნივერსიტეტის პროფესორებს გაუზიარა თავისი გამოცდილება სტუდენტთა შეფასების მეთოდების შესახებ.

2013 წლის მარტიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მესამე კურსის სტუდენტებისთვის დაიწყო ახალი სასწავლო კურსი – შემთხვევაზე დაფუძნებული კლინიკური აზროვნება. კურსის მიზანია, განუვითაროს სტუდენტებს უნარი, გამოიყენონ შექმნილი ცოდნა რომელიმე კლინიკური პრობ-



პროფ. ტრუდი რობერტსი

ლემ ტენ კატე. საინტერესოა, რომ კლინიკური პრობლემის განხილვის დროს პროფესორი პრაქტიკულად არ ერევა კლინიკური პრობლემის განხილვაში და სტუდენტები თავისუფლად მსჯელობენ, კამათობენ, ასახულებენ თავის ვარაუდს და აგონის შესახებ. მესამეკურსელებმა დადებითად შეაფასეს ახალი სასწავლო კურსი და სურვილი გამოთქვეს, რომ ამ მეთოდით სწავლება გაგრძელდეს შემდგომ კურსებზეც. უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ კლინიკური პრობლემის განხილვის ამსახველი ვიდეოკადრები განთავსებულია პროექტის ვებ-გვერდზე (www.mumeena.eu).

ამჟამად, პროექტის ფარგლებში, მიმდინარეობს ახალი სასწავლო და მეთოდური ლიტერატურის შექმნა ქართულ ენაზე სტუდენტებისთვის გამოცემა თანამედროვე სახელმძღვანელოები კლინიკურ გერიატრიაში, სამედიცინო უნარ-ჩვევებში, პროფესორებისთვის სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში.

კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრი

კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრი უახლესი სასწავლო-სამედიცინო ტექნოლოგიებით, თანამედროვე კომპიუტერული და მალალტექნოლოგიური სასწავლო აპარატურით – სამედიცინო სიმულატორებით – აღჭურვილი სასწავლო ცენტრია, რომელიც მომავალი მედიკოსების მიერ კლინიკური უნარების კვალიფიციურად ათვისების მნიშვნელოვან ამოცანას ემსახურება.

თსუ-ის რექტორის, პროფესორ

უთრევ სასწავლო კურსის შინაარსი სრულად მოიცავს მედიცინის დარგობრივი საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებულ კლინიკურ უნარებს – მარტივი პროცედურებიდან მალალტექნოლოგიური სიმულატორების გამოყენებით გადაუდებელი და რეანიმაციული პაციენტების სამედიცინო შემთხვევების სრულ მართვამდე.

თსუ-ის სტუდენტებს და რეზიდენტებს აქვთ შესაძლებლობა ცენტრის ბაზაზე გაიარონ პრაქტიკული სასწავლო კურსები

უკვე ერთი წელია კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრში მოქმედებს ინოვაციური ელექტიური სასწავლო კურსი „სწავლა – სწავლებით“, რომლის ფარგლებშიც VI კურსის სტუდენტებს საშუალება აქვთ II კურსის სტუდენტებს ჩაუტარონ მეცადინეობები სხვადასხვა კლინიკურ დარგში ცენტრის პედაგოგების მეთვალყურეობით.

კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრში მალალტექნოლოგიური სიმულატორების, მულაჟების და მანეკენების გამოყენებით ხორციელდება უწყვეტი სამედიცინო განათლების (უსგ) პროგრამები:

ექიმებისა და უმცროსი ექიმებისთვის:

ექოკარდიოგრაფიის ბაზისური უნარ-ჩვევები;

მუცლის ღრუს ორგანოების ულტრასონოგრაფიის ბაზისური უნარ-ჩვევები;

თვალის ბადურის დაავადებების შემსწავლელი სიმულაციური კურსი;

სამშობიარო ბლოკში ახალშობილის რეანიმაციის და ბლოკის შემდგომი პერიოდის სტაბილიზაციის ძირითადი პრინციპები.

ექთნებისთვის, უმცროსი ექიმებისთვის და სტუდენტი-მედიკოსებისთვის:

მოზრდილი და პედიატრიული პაციენტის მოვლის კლინიკური უნარ-ჩვევები;

მოზრდილი პაციენტის პირველადი გადაუდებელი და ქირურგიული დახმარების უნარ-ჩვევები;

გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მოკლევადიანი ტრენინგ-პროგრამები არასამედიცინო დარგების წარმომადგენლებისთვის;

პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების (პირველი დონე) უნარ-ჩვევები;

პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების (მეორე დონე) უნარ-ჩვევები.

სამეცნიერო უნარ-ჩვევების ცენტრი

MUMEENA-ს პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბებული თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო უნარ-ჩვევების ცენტრის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს თსუ-ში სამეცნიერო კვლევის საფუძვლების კურსის განხორციელება და კოორდინაცია.

ცენტრი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მიზნად ისახავს სტუდენტებში განვითაროს:

მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრინციპებისა და ცოდნის გამოყენების უნარები;

სამედიცინო პრაქტიკაში ბიოსამედიცინო კვლევის პრინციპებისა და მეთოდების გამოყენების უნარები;

კრიტიკული ანალიზის, სწორი დასკვნების გაკეთების და მათი პრაქტიკაში განხორციელების უნარები.

სამეცნიერო უნარ-ჩვევების ცენტრის ეგიდით ჩატარდა მრავალი ღონისძიება, რომელთაგან აღსანიშნავია სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია სახელწოდებით – „გზა კვლევისკენ“, რომლის საპატიო სტუმრები იყვნენ პროფესორები: ფედერიკა ვოლფი (რომის კათოლიკური უნივერსიტეტი, იტალია) და ხოსე პეინადო (გრანადის უნივერსიტეტი, ესპანეთი). მიმდინარე წლის გაზაფხულზე მათი მონაწილეობით დაგეგმილია მეორე კონფერენციის ჩატარება, რომელზეც განიხილება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიღწევები გასული ერთი წლის მანძილზე.

წარმატებული გახლდათ თსუ-ის კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრის პრეზენტაცია საერთაშორისო დონეზე – 2012 წელს კიევი გამართულ MUMEENA-ს კონფერენციაზე, რომელიც ჩატარდა TEMPUS-ის პროექტის – „დიპლომატული სამედიცინო განათლების მოდერნიზაცია ევროგაერთიანების აღმოსავლეთ სამეზობლო ქვეყნებში“ – ფარგლებში.

თსუ-ის სამეცნიერო უნარ-ჩვევების ცენტრმა მონაწილეობა მიიღო 2012 წ. დეკემბერში CRDF GLOBAL-ის მიერ ორგანიზებულ ტრენინგში – „Workshop on Authorship of Peer-reviewed Publications and International Conference Participation“ – და ამავე ორგანიზაციის ეგიდით გამართულ სემინარში – „Workshop on

Strategies for Success in Proposal Writing and Authorship of Reseach Articles“.

ცენტრის უმნიშვნელოვანეს საქმიანობას წარმოადგენს სტუდენტური სამეცნიერო პროექტების განხორციელება. განსახორციელებელ პროექტთა შორის პირველი გახლავთ სტუდენტური სამეცნიერო-ექსპერიმენტული პროექტი – „კალციტონინის გენთან დაკავშირებული პეპტიდის ანტაგონისტის და ნიტროგლიცერინის შედარებითი გავლენის შესწავლა სისხლში კრეატინფოსო-



ზურაბ ვადაჭკორიას, ინიციატივით და მხარდაჭერით კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრი გამდიდრდა თანამედროვე სამედიცინო სიმულატორებით და მულაჟებით – ისეთი ავტორიტეტული საერთაშორისო კორპორაციების პროდუქტებით, როგორებიცაა: Gaumard, Nasco Life/Form, Limb and Things, Laerdal, 3B Scientific, Kyoto kagaky, Anatomage. ისინი ანატომიურ და სამედიცინო-ბიოლოგიურ თვალსაჩინოებათა წარმოების ლიდერები არიან მსოფლიოში.

2012–2013 სასწავლო წლიდან კლინიკური უნარ-ჩვევების სასწავლო კურსი შევიდა მედიცინის ფაკულტეტის კურიკულუმში, ხოლო საკ-

ბი მენობა-სა და გინეკოლოგიაში, რეანიმაციაში, თერაპიაში და ქირურგიაში; უახლოეს პერიოდში დაგეგმილია ენდოსკოპიური ქირურგიის სასწავლო საშუალებების დანერგვა და მთელი რესურსის ინტეგრაცია ტელემედიცინის მიღწევებთან.

კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრში გამოცდები OSCE-ის ტიპით (ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა) მიმდინარეობს, რაც მნიშვნელოვანი შინაარსობრივი სიახლე და პროგრესული ნაბიჯია სამედიცინო განათლების სისტემაში.

ლი და ქირურგიული დახმარების უნარ-ჩვევები;

გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მოკლევადიანი ტრენინგ-პროგრამები არასამედიცინო დარგების წარმომადგენლებისთვის;

პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების (პირველი დონე) უნარ-ჩვევები;

პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების (მეორე დონე) უნარ-ჩვევები.

კინაზას მაჩვენებლებზე და მოკარდიუმის მორფოლოგიურ სურათზე ექსპერიმენტული მწვავე იშემიის პირობებში“.

თსუ-ის სამეცნიერო უნარ-ჩვევების ცენტრის ბაზაზე მოქმედებს ექსპერიმენტულ ცხოველებზე წარმოებული კვლევის მონიტორინგის კომიტეტი, რომლის ძირითადი ფუნქცია და დანიშნულებაა ლაბორატორიულ ცხოველებზე წარმოებული ბიოსამედიცინო კვლევების ზედამხედველობა და საერთაშორისო აღიარებულ ეთიკურ და სამართლებრივ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ენაზის ცენტრის ძირითადი ამოცანაა, უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების კურიკულუმის ფარგლებში, ყველა ფაკულტეტის სტუდენტებისთვის სამედიცინო უცხოური ენისა და ტერმინოლოგიის (ლათინური, ინგლისური, გერმანული, რუსული) სწავლება, ასევე, მაგისტრანტების და დოქტორანტების ცოდნის სრულყოფა უცხოურ ენებში სპეციალური პროგრამების და სასწავლო კურსების მიხედვით.

უცხოური ენების ცენტრი



თანამედროვე სამყაროში ცხოვრება, კომუნიკაცია და წარმატებული პროფესიული საქმიანობა წარმოუდგენელია უცხოური ენების ცოდნის

გარეშე. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ბოლო წლებში უნივერსიტეტის პროცესის მონაწილე ევროპულ უნივერსიტეტთა დიდი ოჯახის წევრია.


თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ენების ცენტრის ძირითადი ამოცანაა, უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების კურიკულუმის

ფარგლებში, ყველა ფაკულტეტის სტუდენტებისთვის სამედიცინო უცხოური ენისა და ტერმინოლოგიის (ლათინური, ინგლისური, გერმანული,

ფრანგული, რუსული) სწავლება, ასევე, მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ცოდნის სრულყოფა უცხოურ ენებში სპეციალური პროგრამების და სასწავლო კურსების მიხედვით.

ცენტრთან მოქმედებს უცხოური ენების ინტენსიური სწავლების ფასიანი კურსები, სადაც მაღალკვალიფიციური მასწავლებლები ასწავლიან როგორც უცხოურ ენას (ინგ-

ლისური, გერმანული, ფრანგული და რუსული) ტრადიციული და



ზოგადი გაგებით, ასევე, დარგობრივ სამედიცინო ენასა და ტერმინოლოგიას. მსმენელთა ჯგუფები მცირერიცხოვანია. კურსებზე მიიღებიან როგორც სტუდენტები, ისე ექიმები და სხვა დაი-

უცხოური ენების ცენტრი

მე-14 გვერდიდან

ძლებელია, აგრეთვე, მეორე ან მესამე უცხოური ენის დაუფლება. ცენტრში არსებობს თურქული ენის უფასო კურსები სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისთვის.

უცხოური ენების ცენტრის თანამშრომლების საქმიანობა მუდმივად იყო და არის მიმართული სასწავლო პროცესის დახვეწისკენ, სამედიცინო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისთვის.



ის შესაბამისი სახელმძღვანელოების, ლექსიკონების და მეთოდური მასალების შემუშავებისკენ. ცენტრის თანამშრომლების მიერ გამოიცა სახელმძღვანელოები ინგლისურსა (English for Medical Professions) და გერმანულ (Deutsch für Mediziner) ენებში, რომლებიც წარმატებით გამოიყენება სასწავლო პროცესში.

ამჟამად უცხოური ენების ცენტრი აკრედიტაციას გადის საუნივერსიტეტო საერთაშორისო სერტიფიკატის – UNICert – მისაღებად. ეს სერტიფიკატი სტუდენტებს საშუალებას მისცემს, მონაწილეობა მიიღონ ნებისმიერ საერთაშორისო გაცვლით პროგრამაში.

ცენტრში მიღებული უცხოური ენების ცოდნა ჩვენმა სტუდენტებმა პრაქტიკაში ეფექტურად გამოიყენეს უნივერსიტეტში აშშ-ის, ევროკავშირის ქვეყნების, დიდი ბრიტანეთის, თურქეთის და ისრაელის უნივერსიტეტების წამყვანი პროფესორ-მედიკოსების ვიზიტის მასპინძლობის დროს. სტუმრების მიერ ნაკითხული ლექციები, სადაც ეს საჭირო იყო, ჩვენმა სტუდენტებმა სინქრონულად წარმატებით თარგმნეს და უცხოელი პროფესორების და მსმენელების მოწონება დაიმსახურეს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის უცხოური ენების ცენტრის კარი ღიაა თქვენთვის – მოემზადეთ წარმატებისთვის!

ბიბლიოთეკა, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, მუდმივად საჭიროებს განახლებას და განვითარებას. სავსე დარბაზები და მუშაობის დაკავშული რიტმი მინიშნავს თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის აუცილებლობას მართვისა და მომსახურების სფეროში. შიდასაუნივერსიტეტო კომპიუტერული ქსელიდან უზრუნველყოფილია თავისუფალი წვდომა ისეთ საჭირო სისტემებსა და სამედიცინო მონაცემთა ბაზებში, როგორც EBSCO, HINARI, Cambridge Publishing, BioOne.

ბიბლიოთეკა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას გამორჩეული ადგილი უჭირავს საუნივერსიტეტო ცხოვრებაში.


1937 წელს დაარსებული ბიბლიოთეკა ყოველთვის იყო საბიბლიოთეკო საქმის საუკეთესო ტრადიციების მატარებელი, მაგრამ ის ფუნქციები, რაც მან უკანასკნელ წლებში შეიძინა, უდავოდ, გამორჩეულია. დღეს სამედიცინო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მოდიან არა მარტო საჭირო წიგნის, ჟურნალის თუ სხვა ბეჭდვითი მასალის მოსაძიებლად, (რის ფართო არჩევანსაც იძლევა 300 ათასამდე დასახელების წიგნადი ფონდი), არამედ ეს არის ადგილი, რომელიც მუდმივად დატვირთულია სხვადასხვა სახის სამეცნიერო, სასწავლო თუ გასართობი ღონისძიებებით, აკადემიური თუ სტუდენტური შეხვედრებით, სემინარებით, კონფერენციებით, პრეზენტაციებით. ბიბლიოთეკამ განსაკუთრებული მიზიდველობა უცხოელ სტუდენტებში მოიპოვა:

ნვითარებას. სავსე დარბაზები და მუშაობის დაძაბული რიტმი მიანიშნებს თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის აუცილებლობას მართვისა და მომსახურების სფეროში. შიდასაუნივერსიტეტო კომპიუტერული ქსელიდან უზრუნველყოფილია თავისუფალი წვდომა ისეთ საძიებო სისტემებსა და სამეცნიერო მონაცემთა ბაზებში, როგორც EBSCO, HINARI, Cambridge Publishing,

ოლოგიური საბიბლიოთეკო სისტემები – Koha და Dspace; ამასთან, მიმდინარეობს ბიბლიოთეკის თანამშრომლების გადამზადება. იგეგმება ელექტრონული წიგნების, სამეცნიერო შრომების, ვიზუალური და აუდიოჩანაწერების ღია არქივების შექმნა. მოქნილი საძიებო სისტემები კი მონაცემთა კვალიფიციური და ღრმა ძიების ჩატარების შესაძლებლობას შექმნის. ჩვენი სტრატეგიული მიზანია, რაც შეიძლ-

მდიდრებული ტექნოლოგიური ბაზა შესაძლებლობას მოგვცემს სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემების შესაქმნელად, რაც მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება.

ისეთი უწყებების თუ ორგანიზაციების სპონსორული მხარდაჭერა, როგორცაა ამერიკისა და საფრანგეთის საელჩოები, კომპანია Nestle და სხვ., წიგნადი ფონდის საჭირო და საშური სამედიცინო ლიტერ-



ეს მათი აკადემიური მომზადების და საქმიანი შეხვედრების საყვარელი ადგილია. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ თვალწინ ისახება და ვითარდება ახალი ტრადიციები.

ბიბლიოთეკა, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, მუდმივად საჭიროებს განახლებას და გა-

BioOne. ამ მძლავრი საინფორმაციო-ტექნოლოგიური პროდუქტების შესაძლებლობების მაქსიმალურად ეფექტურად გამოყენების მიზნით, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ტექნიკური და ინტელექტუალური მხარდაჭერით, ინერგება მალალტექნ-

ება ბევრი სახელმძღვანელო-ელექტრონული ფორმით, ხელმისაწვდომი გახდეს სტუდენტებისთვის, ფართოდ დაინერგოს ელექტრონული წიგნები და რიდერები, გაიზარდოს პროფესორ-მასწავლებლების წვდომა სრულტექსტოვან სამეცნიერო ინფორმაციაზე. გა-

ატურით შევსების საშუალებას იძლევა, რითაც სერიოზული წვლილი შეაქვს ექიმების და მომავალი ექიმების პროფესიული განვითარების საქმეში, რასაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ათწლებლების მანძილზე ღირსეულად ემსახურება.

მოტივირებული და წარმატებული სტუდენტებისგან დაკომპლექტებული თვითმმართველობა საუნივერსიტეტო და საერთაშორისო მასშტაბით აქტიურად ახორციელებს საგანმანათლებლო, კულტურულ, ცხოვრების ფანსაღი წესის პროპაგანდასთან დაკავშირებულ, სოციალურ და ჰუმანიტარულ პროექტებს.

სტუდენტური თვითმმართველობა

სტუდენტური ცხოვრება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში აქტიური და მრავალფეროვანია, რასაც განსაზღვრავს სტუდენტური გაერთიანებების ეფექტური საქმიანობა, სტუდენტთა თვითრეალიზაციისთვის საჭირო რესურსების ხელმისაწვდომობა და მოტივირებული გარემოს არსებობა უნივერსიტეტში.

სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა, თავისი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი უფლებამოსილებების ფარგლებში, აქტიურადაა ჩართული უნივერსიტეტის აკადემიურ და ადმინისტრაციულ პროცესებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების განხილვასა და მიღებაში.

მოტივირებული და წარმატებული სტუდენტებისგან დაკომპლექტებული თვით-

მართველობა საუნივერსიტეტო და საერთაშორისო მასშტაბით აქტიურად ახორციელებს საგანმანათლებლო, კულტურულ, ცხოვრების ფანსაღი წესის პროპაგანდასთან დაკავშირებულ, სოციალურ და ჰუმანიტარულ პროექტებს.

სტუდენტური თვითმმართველობისა და თსსუ-ში მოქმედი სტუდენტური ორგანიზაციების ეგიდით

რამდენიმე ათასი სტუდენტი ჩართულია. სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში, ქართველ სტუდენტებთან ერთად, აქტიურად მონაწილეობენ სამედიცინო უნივერსიტეტის უცხოელი სტუდენტები. თვი-

თმართველობის წევრთა თითქმის მეოთხედი უცხოელია, თვითმმართველობის ერთ-ერთი ვიცე-პრე-

ჩენი უცხოელი თანატოლების სრულ ინტეგრაციასა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში.



სტუდენტური თვითმმართველობა არის ძირითადი დონორი და პარტნიორი თსსუ-ში მოქმედი სტუდენტური გაერთიანებების:

- ივ. თარხნიშვილის სახელობის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება
 - დონორთა კლუბი
 - ჯანდაცვის განვითარების ახალგაზრდული ორგანიზაცია
 - ჯანმრთელობის ხელშეწყობის ახალგაზრდული ორგანიზაცია
 - მხიარულთა და საზრიანთა კლუბი „კოზანოსტრა“
 - ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაცია – „თბილისი“.
- ევროპის ფარმაკეფტ სტუდენტთა ასოციაცია – „საქართველო“ (**Gpsa**)
ალიანსი – „ჯანმრთელი საზოგადოებისთვის“.

სტუდენტებსა და კურსდამთავრებულათან ურთიერთობის სამსახური

სამსახურის ძირითადი დანიშნულება ახალგაზრდა სპეციალისტთა საკარიერო სერვისის განვითარება, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის დასაქმებისა და სტაჟირების ხელშეწყობა; სამსახური თანამშრომლობს სახელმწიფო, სამოქალაქო და კერძო სექტორთან, ხელს უწყობს თსსუ-ის სტუდენტების, მათი საინიციატივო ჯგუფების, სტუდენტური ორგანიზაციების აქტივობას და მუშაობს მათთან კოორდინირებულად.

სამსახურის არსებობის ისტორია ერთ წელს ითვლის. **სამსახურის მიერ განხორციელებული აქტივობანი:**

- საზაფხულო სკოლა-სტაჟირება მედიცინის, სტომატოლოგიის, ჯანდაცვის და ფარმაციის ფაკულტეტების 600-მდე სტუდენტისთვის (კვლინკებთან ურთიერთობის სამსახურთან ერთად);
- მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის ბილატერალური გაცვლითი პროგრამის - „Twinning Program“- განხორციელება ნაიბეგენის უნივერსიტეტში (ნიდერლანდები);
- აქტიური მონაწილეობა „ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაციის“ ნაციონალურ კოორდინატორთა ყოველწლიურ სამიტში (EMSA NCM 2013);
- მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტების სტაჟირების ორგანიზება პოზნანის სამედიცინო მეცნიერებების უნივერსიტეტში (პოლონეთი);
- პოზნანის სამედიცინო მეცნიერებების უნივერსიტეტის

ვიცე-რექტორის, პროფესორ **იაროსლავ ვალკოვაციის** და საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის, **ბოჟენა რადუხას**, სალექციო კურსის ორგანიზება თსსუ-ის სტუდენტებისთვის; ურთიერთთანამშრომლობის შემორანდუმის გაფორმება გდანსკის სამედიცინო უნივერსიტეტთან (საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტთან ერთად);

მედიცინის, სტომატოლოგიის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის გაცვლითი პროგრამის განხორციელება ერვენის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში;

მედიცინის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტების სტუდენტების სტაჟირება (დასაქმება) სადაზღვეო კომპანიებში: „აჰდავი“, „უნისონი“, „ჯი-პი-აი“;

აქტიური მონაწილეობა „ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაციის“ გენერალური ასამბლეის მუშაობაში;

ზამთრის სკოლის ორგანიზება უცხოელი სტუდენტებისათვის;

მონაწილეობა უცხოელ სტუდენტთა ტრადიციული ფესტივალის „RIVIERA“ ორგანიზებაში;

მონაწილეობა თსსუ-ის სტუდენტთა საერთაშორისო ფესტივალში;

„ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაციის“ პრეზიდენტის, **ბორისლავ მანევის**, ვიზიტის ორგანიზება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში.

სპორტი, უცხოელები და ხელოვნება

ფოლკლორის მარგალიტებიდან თანამედროვე მუსიკამდე, დრამიდან იუმორამდე, ჭადრაკის ტურნირებიდან კრიკეტამდე... სპორტისა და ხელოვნების ცენტრის საქმიანობის ეს არასრული ჩამონათვალი საკმარის წარმოგვჩვენებს იძლევა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მდიდარი კულტურული ცხოვრებისა და განსაკუთრებული სპორტული მიღწევების შესახებ.

კალათბურთის, მინი ფეხბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, ფრენბურთის, ბადმინტონის, ჩოგბურთის, ჭადრაკის, ძალიანი სპორტის, მკლავჭიდის სპორტული ჯგუფები და უხლესი ტექნიკით აღჭურვილი ტრენაჟორების დარბაზი სტუდენტთა აქტიურად მონაწილეობასა და სპორტული ცხოვრების განუყოფელი ნაწილია.

უნივერსიტეტის სპორტულ ბაზებზე რეგულარულად ტარდება შიდასაუნივერსიტეტო სპორტული ტურნირები, რომლებშიც აქტიურად მონაწილეობენ ყველა ფაკულტეტის სტუდენტები.

უნივერსიტეტის ქართველ და უცხოელ სტუდენტთა გამარჯვებისკენ მუდმივი სწრაფის მკაფიო და თვალსაჩინო დასტურია გასული წლის სპორტულ მიღწევათა შთამბეჭდავი ნუსხა: პირველი ადგილი შერეულ წყვილთა შორის სტუდენტური დღეების ფარგლებში გამართულ ბილიარდის ტურნირში, საპრიზო ადგილები საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციისა და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ეგიდით ორგანიზებულ გიგანტური სლალომის, კალათბურთის, ფრენბურთის, ქვიშის ფრენბურთისა და ფუტსალის ჩემპიონატებში; 5 ოქროს, 10 ვერცხლისა და 7 ბრინჯაოს მე-

დალი საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციისა და ეგიდით ჩატარებულ „უნივერსიადა 2013“-ში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სპორტისა და ხელოვნების ცენტრის ფარგლებში არსებული სიმღერისა და ცეკვის სახალხო ანსამბლი **„ქართული ფოლკლორი“**, დრამატული თეატრი **„პივიგა“**, სამედიცინო ანსამბლი **„ვეგა“**, ტრადიციული მუსიკის გოგონათა ანსამბლი **„დეკა“**, სა-

თესო ანსამბლის წოდება (იტალია 1996 წ.), ექსკლუზიური სატელევიზიო სიუჟეტები რეიტინგულ ქართულ და უცხოურ სატელევიზიო გადაცემებში, სპეციალური რეპორტაჟი ამერიკის „თავისუფლების ხმაში“, გასტროლები და გამოსვლები მსოფლიოს ცნობილ საკონცერტო დარბაზებსა და პოლემში, პირველი ადგილი საზოგადოებრივი მაუწყებლის სატელევიზიო კონკურსში, ანსამბლის ხელმძღვანელის, **ბადრი მაჭავა-**

რსება და ამავე ფესტივალის მრავალი ნომინაციის მფლობელობა წლების მანძილზე.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მხიარულთა და საზრიანთა კლუბის გუნდი **„კოზანოსტრა“** თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ერთ-ერთი საუნივერსიტეტო ბარათად იქცა. 2008-2009 წელს გუნდი გახდა მხიარულთა და საზრიანთა ეროვნული ჩემპიონატის ფინალისტი, ხოლო 2010 წელს კი ჩემპიონი. გასულ წელს გუნდი სტუდენტური დღეების გამარჯვებულად გამოვლინდა. ამჟამად **„კოზანოსტრა“** აზერბაიჯანის საერთაშორისო ლიგაში მონაწილეობის მისაღებად ემზადდება.

უნივერსიტეტის ქართველ და უცხოელ სტუდენტებს შორის იდოი პოპულარობით სარგებლობს ლათინურ-ამერიკული და სამედიცინო ცეკვის ანსამბლი **„ვეგა“**, რომელიც თავისი მრავალფეროვანი საკონცერტო პროგრამით აქტიურადაა ჩაბმული უნივერსიტეტის კულტურულ ცხოვრებაში.

2014 წელს სპორტისა და ხელოვნების ცენტრი კიდევ ერთი წარმატებით შეხვდა – **ვანო სარაჯიშვილის** სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში ჩატარდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლასიკური მუსიკის განყოფილებისა და კონსერვატორიის სტუდენტთა ერთობლივი კონცერტი, რომელმაც პროფესიონალი მუსიკოსების და დამსწრე საზოგადოების უდიდესი მონაწილეობა დაიმსახურა.

